შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11-12(9.921)

18-30 აპრილი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ერთხელ საქართველოშიც...

ეს რომ ამერიკაში მომხდარიყო, ქვეყნის პრეზიდენტი წარმოსადეგი გარეგნობის პრემიერ მინისტრს ან რომელიმე შტატის მხარბეჭიან გუბერნატორს აშშ - ის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს "მეწამულ გულს" შეჰპირდებოდა.

თეთრი სახლის ფონზე ფოლადისფერ კოსტიუმში გამოწყობილი დადგებოდა და იტყოდა:

პანდემიასთან ბრძოლაში სწორი სტრატეგიის შერჩევისათვის, ადამიანური რესურსების გაფრთხილებისათვის, ინფექციის საბოლოო დამარცხების შემდეგ, და ა.შ. მიენიჭოს მას(პრემიერს ან გუბერნატორს) აშშ - ს უმაღლესი ჯილდოო..

მანამდე კი, პლანეტა მარსზე ყოფნას რომ შეესაბამება, იმ დონისა და დიზაინის ყვითელსკაფანდრიან კომბინეზონში გამოწყობილი პრემიერი ან გუბერნატორი ტელევიზორის ეკრანებიდან არ ჩამოვიდოდა - მუდმივად უჩვენებდნენ, როგორ ხვდება ის მოქალაქეებს, ბავშვებს, გეებს, ქვეყნის ფინანსურ მაგნატებს.

მისი მომხიბვლელი მეუღლე ყველაზე პრესტიჟულ სატელევიზიო შოუში თავისი სამზარეულოდან გვამცნობდა, რომელ კერძებს ამზადებენ ოჯახში ვირუსის ბობოქრობის პერიოდში, ჯანის სიმრთელე და პოზიტიური განწყობა რომ შეინარჩუნონ ოჯახში.

მისი შვილები, მაგალითად, სტუდენტი ვაჟი და კოლეჯის მოსწავლე ქალიშვილი იტყოდნენ, როგორი თბილი და მოსიყვარულე მამა ჰყავთ და როგორ თევზაობენ "უიქენდებზე" მამასთან ერთად მიჩიგანის ტბაზე.

პანდემიაზე გამარჯვების შემდეგ პროვინციულ სკოლას, სადაც ის სწავლობდა, საზეიმოდ, მთელი ქვეყნის გასაგონად, მის სახელს მიანიჭებდნენ.

ჰოლივუდში მის შესახებ სასწრაფოდ გადაიღებდნენ ფილმს. სცენარი დაახლოებით ასეთი იქნებოდა:

მანამდე უცნობი ექიმი (ჟურნალისტები ამოქექავდნენ, რომ მას ბავშვობაში დაუნის სინდრომი დაუდგინდა) ყველასთვის მოულოდნელად, დამოუკიდებლად მიაგნებდა "კოვიდ 10" - თან ბრძოლის წამალს და წარმოუდგენელ გმირობას ჩაიდენდა, ნებით შეიყრიდა მომაკვდინებელ ვირუსს და თავისივე აღმოჩენილი წამლით ორ კვირაში სრულიად განიკურნებოდა..

ფილმის ფინალში უცნობი ექიმი აღიარებდა, რომ წამლის დასახელება ესიზმრა. უფრო მეტიც - წამლის დასახელება მას პრემიერმა ან გუბერნატორმა უკარნახა.

სიზმარში რასაკვირველია.

წამლის ვარგისიანობას (უკვე ცხადში), საუკეთესო ლაბორატორიები ელვის სისწრაფით გადაამოწმებდნენ და მისი წარმოება დაუყოვნებლივ დაიწყებოდა.

წამალი აფთიაქებში სიმბოლურ ფასად -1 დოლარად გაიყიდებოდა.

კაცობრიობა გადარჩებოდა.

ამასობაში ვაქცინასაც შექმნიდნენ.

დაიწყებოდა სავალდებულო აცრა, ჯერ - აშშ - ში, მერე - მთელ მსოფლიოში.

ვაქცინას, ევროპულ ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მიიღებდა და სწორედ საქართველოში მოხდებოდა უჩვეულო რამ.

რომელიმე სატელევიზიო არხის უნიჭო წამყვანი, ღამის გადაცემაში, ვაქცინას აშშ - ს მიერ შემოგზავნილ სასიკვდილო საფრთხედ გამოაცხადებდა, რომლის მიღებაც, თურმე, საქართველოს მოქალაქეების ზომბებად გადაქცევას განაპირობებდა.

მთელი საქართველოს მოსახლეობისა!

საქართველო ორად გაიყოფოდა:ვაქცინის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

დაიწყებოდა გამოძიება და გაირკვეოდა, რომ ტელეწამყვანის განცხადების უკან რომელიღაც ოპოზიციური პარტიის ვიწრო ინტერესები იქნებოდა წარმოდგენილი, რომელსაც მოახლოებულ არჩევნებში წარმატების მიღწევა ნებისმიერი ხერხით სურს..

მაგრამ ასე მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუკი ეს ყველაფერი - ახალი კორონა ვირუსით 306 დაინფიცირებული და 3 გარდაცვლილი, აშშ - ს ოფიციალური სტატისტიკა იქნებოდა და არა საქართველოსი.

ეს ასე მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუკი პანდემიასთან ბრძოლის სწორ ტაქტიკას შეარჩევდნენ არა ჩვენი ინფექციონისტები, არამედ ამერიკის..

ამჯერად ყველაფერი სწორედ პირიქით მოხდა.

აშშ-ს ჯანდაცვის სისტემა კოვიდ 19 თან ბრძოლაში ჩავარდა, სრული ფიასკო განიცადა.

მარტო ერთ დღეში, 24 აპრილს აშშ -ში ახალი კორონა ვირუსით 3 176 ადამიანი გარდაიცვალა!

საქართველოში - არცერთი.

ერთ-ერთი ოპოზიციონერი, გრიგოლი კი არა, მეორე ვაშაძე ამტკიცებს, საქართველოში პანდემიასთან ბრძოლის არასწორი, დამღუპველი ტაქტიკა მოქმედებსო და ყური მოვკარი, პრემიერს ადანაშაულებს.

გახარია რომ აშშ - ს პრემიერი ან გუბერნატორი ყოფილიყო, ზემოთ მოვყევი, რაც მოხდებოდა მის განსადიდებლად, მის წარმოსაჩენად, თუნდაც მადლობის ნიშნად.

ჩემი სუბიექტური ფანტაზიით რასაკვირველია...

ის ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ, მაღალი რანგის ჩინოვნიკად, ყველაზე საჭირო ადამიანად დასახელდებოდა.

ამერიკული პიარტექნოლოგიებით, რასაკვირველია.

როგორ მიხარია, რომ ასეთი კაცი ამჯერად ჩვენში აღმოჩნდა.

C M Y K

გიორგი გახარია-ვინც სამსახური დაკარგა, 6 თვის განმავლობაში თვეში 200 ლარს მიიღებენ

მიზნობრივი სოციალური დახმარების ფარგლებში, საქართველოს მთავრობა გეგმავს, თვეში 200 ლარი გადაუხადოს მათ ვინც სამსახური დაკარგა ან უხელფასო შვებულებაში გადავიდა. კერძოს ანტიკრიზისული გეგმით, კონკრეტული პირები დახმარების სახით მიიღებენ ჯამში 1 200 ლარს 6 თვის განმავლობაში, ანუ თვეში 200 ლარს.

"ეს არის ის მინიმუმი რომელიც დღეს საქართველოს მთავრობას შეუძლია შესთავაზოს თითოეულ მოქალაქეს და ჩვენი ეკონომიკის სიმცირიდან გამომდინარეობს", – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი გახარიას განმარტებით, 3.5 მილიარდი ლარი, რომელიც კრიზისულ მენეჯმენტზე დაიხარჯება, საბიუჯეტო და საგრანტო თანხასთან ერთად, სასესხო კომპონენტსაც შეიცავს

პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განმარტებით, 3.5 მილიარდი ლარი, რომელიც კრიზისულ მენეჯმენტზე დაიხარჯება, საბიუჯეტო და საგრანტო თანხასთან ერთად, სასესხო კომპონენტსაც შეიცავს.

„ინტერპრესნიუსის" შეკითხვის საპასუხოდ, რომელიც ამ ფინანსური რესურში საბიუჯეტო, საგრანტო და სასესხო კომპონენტების ოდენობას ეხებოდა, პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია.

„3 მილიარდ 500 მილიონი ეს არის შედგენილი ის რესურსი, რომელიც არის საბიუჯეტოც, გრანტიც და რა თქმა უნდა, სასესხო კომპონენტიც არის აქ. მაგრამ ზუსტად ეს რა პროცენტი იქნება, ამაზე საუბარი ადრეა. მაგალითად, 3 მილიარდი დოლარის სესხზე, რომელზეც ჩვენ წვდომა გვაქვს გახსნილი, მილიარდნახევარი არის მთავრობისთვის განკუთვნილი. ნაწილი არის საგრანტო კომპონენტი, მაგრამ ნაწილი არის მიზნობრივი. მაგალითად, დაახლოებით 150-200 მილიონი გროვდება ჯანდაცვის სისტემის გამართვისთვის. აქ ბევრი რამეა დამოკიდებული იმაზე, რამდენად ეფექტურად ავითვისებთ ამას. ამიტომ ეს პროპორციები ცვალებადია. დღეს მთავარია, რომ საქართველოს იმ შემთხვევაში თუ მას უჩნდება ასეთი მოთხოვნილება და აუცილებლობა, რესურსზე წვდომის პრობლემა არ გააჩნია. დღეს ქვეყანას რესურსზე წვდომა აქვს სრულად თავისუფალი და ეს რესურსი არის 3 მილიარდი დოლარი", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ნათია თურნავა- 1500 ლარამდე ხელფასის მქონე თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადს დამსაქმებელთან ერთად სახელმწიფო გადაიხდის.

1500 ლარამდე ხელფასის მქონე თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადს დამსაქმებელთან ერთად სახელმწიფო გადაიხდის, - შესაბამისი განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ გააკეთა.

მისი თქმით, ეს ცვლილება ერთის მხრივ კომპანიებს შეუმსუბუქებთ საგადასახადო ტვირთს და მეორეს მხრივ ადამიანებს მისცემთ შესაძლებლობას, შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები.

„საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით შემოთავაზებული შემოღებული შეღავათი, პირველ რიგში არის მიმართული იქითკენ, რომ კომპანიებმა შეინარჩუნონ დასაქმება, რომ არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ იმ ადამიანების დასაქმება, რომლებიც ამ კომპანიებში იღებენ ხელფასებს. ამისთვის ჩვენ ვინაწილებთ კომპანიებთან ერთად სახელფასო ტვირთს. ეს ეხება 6 თვის განმავლობაში ნებისმიერ კომპანიაში დასაქმებულ ადამიანს, ვისი ხელფასიც არის 1500 ლარი ან ნაკლები, ანუ მაქსიმუმ 1500 ლარი და ასეთები არის უდიდესი უმრავლესობა. ეს არ არის მაღალ რანგის მენეჯმენტი, მაგრამ ეს არის საშუალო და დაბალი რანგის დასაქმებული თანამშრომელი. განსაკუთრებთ ისეთ კომპანიებში, სადაც დიდი დასაქმებაა - იქნება ეს სამკერვალო ფაბრიკა თუ იქნება რომელიმე მძიმე მრეწველობის დიდი გიგანტი საწარმო, მათ ყველას ეს შეეხება. ანუ 1500 ლარამდე ხელფასის მქონე ადამიანებს მათ ხელფასზე სულ მცირე 750 ლარის ნაწილზე არ დაერიცხებათ საშემოსავლო გადასახადი. ეს უმსუბუქებს ერთი შეხედვით კომპანიას მის საგადასახდო ტვირთს, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ემსახურება იმას, რომ ადამიანებმა არ დაკარგონ თავიანთი სამუშაო ადგილები და თავიანთი ხელფასები, მათ შორის ეს იმათაც შეეხებათ, ვისაც აქვთ გადავადებული საშემოსავლო გადასახადი", - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

პენსიონერებს პენსია გაეზრდებათ

ყველა პენსიონერის პენსია გაიზრდება, - ამის შესახებ განცხადება მთავრობის მეთაურმა გააკეთა. გიორგი გახარიას თქმით, 2021 წლიდან ყველა პენსიონერს პენსია გაეზრდება 20 ლარით, ხოლო 70 წელს ზემოთ ასაკის პენსიონერებს 25 ლარით. გაზრდილი პენსიით ისარგებლებს 410 ათასი პენსიონერი.

პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები შეიცვალა

კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, პირველკლასელთა და მათი მშობლების ინტერესების გათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაციის ახალი ვადები დადგინდა.

პირველკლასელთა რეგისტრაციის I ეტაპი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ეხებოდა, 2 მარტიდან 16 მარტის ჩათვლით უკვე წარმატებით განხორციელდა, თუმცა, პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, გახანგრძლივდა სკოლაში დოკუმენტაციის წარდგენის ვადა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადად 24 აპრილის ნაცვლად 5 ივლისი განისაზღვრა.

განათლების სამინისტროს განცხადებით, წარსადგენ დოკუმენტებში არ იგულისხმება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის ბრძანებით შეიცვალა. აღნიშნული ბრძანების თანახმად, მოსწავლეების ჩარიცხვა განხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭების გარეშე. გახანგრძლივებულ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსწავლის რეგისტრაცია გაუქმდება.

პირველკლასელთა რეგისტრაციის II ეტაპზე იცვლება როგორც რეგისტრაციის, ასევე დოკუმენტების წარდგენის თარიღი:

რეგისტრაციის II ეტაპი განხორციელდება 11 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით,ხოლო დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელი იქნება 11 მაისიდან 5 ივლისის ჩათვლით.

ამ ეტაპზე სკოლაში დარეგისტრირდებიან ბავშვები: რომელთა და-ძმა სწავლობს სასურველ სკოლაში; მშობელი არის კონკრეტული სკოლის თანამშრომელი; ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

რეგისტრაცია განხორციელდება საჯარო სკოლებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. დადგენილ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

რეგისტრაციის III ეტაპზეც იცვლება როგორც რეგისტრაციის,ასევე დოკუმენტების წარდგენის ვადები:

III ეტაპი - საყოველთაო რეგისტრაცია - 2 ივნისს დაიწყება და 25 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო დოკუმენტაციის წარდგენა 2 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე www.registration.emis.ge ელექტრონულ რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დადგენილ ვადებში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

რეგისტრაციის ბოლო IV ეტაპზეც ასევე იცვლება რეგისტრაციის და დოკუმენტების წარდგენის თარიღი:

IV ეტაპზე პირველკლასელთა რეგისტრაცია და დოკუმენტაციის წარდგენა 20 აგვისტოს დაიწყება და 10 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

ამ ეტაპზე გამოთავისუფლებულ/ვაკანტურ ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე მოხდება იმ მოსწავლეთა რეგისტრაცია, რომლებიც I, II და III ეტაპებზე ვერ დარეგისტრირდნენ ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.

მოსწავლის რეგისტრაციას მეოთხე ეტაპზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მშობლის,კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე: საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სკოლები დაამტკიცებენ საქმისწარმოების ახალ წესს, რომელიც საშუალებას მისცემს მშობლებს ელექტრონულად გადააგზავნონ განცხადებები თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ან სკოლის მიერ დადგენილი წესით უსაფრთხოების ნორმების დაცვით, მატერიალურად ჩააბარონ სკოლის ადმინისტრაციას; სკოლა 2 დღის ვადაში დაუდასტურებს მშობელს ელექტრონულ ფოსტაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღებას.

ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში, სკოლა არ მოითხოვს დოკუმენტებს მატერიალური სახით და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დაადასტურებს მოსწავლის ჩარიცხვას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ, „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანებით და მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად არ მოითხოვონ დამატებით სხვა დოკუმენტები, რაც არ არის განსაზღვრული აღნიშნული ბრძანებით.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველკლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა: მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე); მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

კახეთი-მწვანე ზონა

კახეთი მწვანე ზონად რჩება. კახეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებით, 24 აპრილის მდომარეობით, ჩოვიდ 19 -ის არცერთი ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა არ არის.

თვითიზოლაციიდან მოიხსნა 4 მოქალაქე, რჩება-13 მოქალაქე.

რაც შეეხება საკარანტინე სივრცეებს, 10 ლოკაციაზე იმყოფება 581 მოქალაქე.

კახეთში ე.წ ცხელების ცენტრები ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ პაციენტებს.

საეჭვო პაციენტებიდან ნიმუშების აღება გრძელდება როგორც ცხელების კლინიკებიდან, ასევე კარანტინის სივრცეებიდან. 23 აპრილს ლუგარის ცენტრში გაგზავნილი 15 ნიმუშიდან ყველა პასუხი უარყოფითია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თვითიზოლაციაში რჩება 2 მოქალაქე.

საქართველოში ინფიცირებულია 431 მოქალაქე,

მათ შორის გამოჯანმრთელებული - 132 პირი, მათ შორის გარდაცვლილი- 5.

კარანტინის რეჟიმში იმყოფება 5888,

სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 571;

უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 3 მოქალაქე.

დედოფლისწყაროში მცხოვრებ ბოშათა ოჯახებს სასურსათო კალათები გადაეცა

სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სოფელ ხორნაბუჯში მერის წარმომადგენელთან, მერაბ მაძღარაშვილთან ერთად საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური პაკეტების კალათები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბოშათა ოჯახებს გადასცეს,

სოფელ ხორნაბუჯსა და ჭოეთის დასახლებაში მცხოვრებ ბოშებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებული წესებისა და მოთხოვნების შესახებ .

პროექტი შერიგებისა და სამოქალაქო თანადწოროობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივითა და კოორდინირებით განხორციელდა. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია Unicef (გაეროს ბავშვთა ფონდი).

სისხლის უანგარო დონაციის აქცია დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სისხლის უანგარო დონაციის აქცია გაიმართა.

საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილმა მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპ-ისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მიიღეს.

აქცია „გაიღე სისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე“ სისხლის ნაციონალურმა ბანკმა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განახორციელა.

რეკომენდაცია მეცხვარეებს

მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი მეცხვარეებს მოუწოდებს ჩოვიდ-19 პანდემიით შექმნილი სიტუაციის გამო, ცხვრის გადარეკვა ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე 1-ელ მაისამდე არ დაიწყონ.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ონლაინ თათბირის დროს გადაწყდა, ქვეყანაში და მსოფლიოში ჩოვიდ-19 პანდემიით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ცხვრის გადარეკვა ზაფხულის საძოვრებზე მოხდეს შეუფერხებლად, უსაფრთხოების წესებისა და სოციალური დისტანციის დაცვით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ არსებული სიტუაცია და გადარეკვა დავიწყოთ 1-ლი მაისიდან. ამ დროისთვის იქნება მზად ბიოუსაფრთხოების ყველა პუნქტი, სადაც ისარგებლებთ უფასოდ. სურსათის ეროვნული სააგენტო უფასოდ უზრუნველყოფს გასაბანებელ საშუალებას და წყალს“, - აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

მისივე თქმით, ავტოტრანსპორტით საქონლის გადაყვანა, არსებული შეზღუდვებისა და რეგულაციების გათვალისწინებით, შესაძლებელია 1-ელ მაისამდეც.

საქართველოში ბიოუსაფრთხოების 6 პუნქტი ფუნქციონირებს. ბიოუსაფრთხოების პუნქტი შემოღობილი, ბეტონის საფარით მოწყობილი ტერიტორიაა, სადაც განთავსებულია პირუტყვის სადეზინფექციო გასაბანი აუზები, სადეზინფექციო საშხაპეები, წყლის რეზერვუარები და ვეტპუნქტი. აქ როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა პირუტყვის გაბანება და პარაზიტებზე დამუშავება ხდება, რაც უზრუნველფოფს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და დაავადებების გავრცელების შემცირებას.

ცხვრის გადარეკვა ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე, ძირითადად თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, ხევში, მთიულეთსა და ჯავახეთში, 20 აპრილიდან იწყება და მაისის შუა რიცხვებამდე გრძელდება.

პირბადეები- მონაზვნებისგან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ მირზაანში კვირაცხოვლობის სახელობის დედათა მონასტერთან არსებულმა სამკერვალო-სახელოსნომ პირბადეების დამზადება დაიწყო. პროექტს NPRD -ის პროგრამის ,,მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის“ ფარგლებში ,,LAGI-დედოფლისწყარო“ აფინანსებს.

მირზაანის დედათა მონასტერთან არსებულმა სამკერვალო 5000 დამზადებულ პირბადეს გადასცემს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას. მერია თავის მხრივ, პირბადეებს უსასყიდლოდ დაურიგებს მოწყვლად ჯგუფებს, სამედიცინო პერსონალსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც კორონავირუსთან ბრძოლის წინა ხაზზე დგას.

მირზაანის დედათა მონასტერთან არსებული სახელოსნო კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი ქადაგიშვილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსთან, მეუფე დიმიტრისთან ერთად მოინახულეს. იღუმენია ნინოს განცხადებით, სამუშაო პროცესი ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობს, დღიურად, 500 -მდე პირბადის დამზადება ხდება სახელოსნოში. მონასტრის წევრების გარდა, პირბადეების დამზადების პროცესში ადგილობრივი მრევლია ჩართული.

სასოფლო -სამეურნეო სამუშაოები და საგანგებო მდგომარეობა

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საყოველთაო კარანტინმა საყურადღებო გახადა იმ ადამიანების მდგომარეობა, ვისაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების უფლება აქვთ, თუმცა სოციალური დისტანცირების აუცილებლობის პირობებში ვერ მუშაობენ. ამას ისიც ემატება, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მიწას რამდენიმე გლეხი ერთად ამუშავებს.

კახელი ფერმერები ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას. კორონავირუსის გამო გამოცხადებული პანდემია, საგანგებო მდგომარეობა და დაწესებული აკრძალვები მათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ჯერჯერობით არ ასახულა. ამ დროისთვის მიმდინარეობს მიწების დამუშავება, ერთწლიანი კულტურების პროდუქტიულობის გაზრდა, ხოლო ვისაც ხილის ბაღები აქვს, ახლა ყვავილობის პროცესია და, შესაბამისად, მიმდინარეობს მათი წამლობა-დამუშავება, რათა მოსავალი შენარჩუნდეს. ძნელია იმის თქმა, თუ რა აეკრძალებათ ან ეკრძალებათ ფერმერებს, რადგან კონკრეტული საქმიანობები სიტუაციის მიხედვით იზღუდება და ქვეყანაში სიტუაციაც ყოველდღიურად იცვლება. ჩნდება კითხვები, თუ რა წესები უნდა დაიცვან ფერმერებმა და როგორ უნდა შეასრულონ ეს სამუშაოები? ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსის საფრთხის ფონზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, სურსათისა და კვების პროდუქტების იმპორტი არ იკრძალება, მაგრამ ვინაიდან გლობალური საფრთხე ახალ შესაძლებლობებს ქმნის, ლოგიკური იქნება ადგილობრივ წარმოებას ხელი შევუწყოთ.

შალვა, **მევენახე**: „დღეს დღეობით, კონკრეტულად ვენახთან დაკავშირებული, საგაზაფხულო, ძირითადი სამუშაოები, დასრულებულია. დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე პროცედურა, რომელიც, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ დაიწყება... თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გლეხს ამ ეტაპზე არ უჭირს სამუშაოების ჩატარება. იქ, სადაც ერთი კი არა, გარკვეული ჯგუფების მუშაობაა საჭირო, ძნელია საქმიანობა. წესების დარღვევა არავის უნდა, მაგრამ თუ კარანტინი კიდევ რამდენიმე თვე გახანგრძლივდება, მაშინ ფერმერს ნამდვილად გაუჭირდება. ახალი სამუშაო წამოვა, ვენახს დასჭირდება ადამიანის ხელი. ძნელია, რომ უყურადღებოდ დატოვო შენი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. უმეტესობისთვის კი ეს ერთადერთი წყაროც კია. მაგრამ თუ ვირუსის შესაჩერებლად აუცილებელი მხოლოდ სახლში დარჩენა იქნება საჭირო, დავრჩები, რადგან ჯანმრთელობა ყველაფერზე მნიშვნელოვანია. შვილები მყავს და რომ მივიდე სახლში და მე გავხდე ოჯახის წევრების დაინფიცირების წყარო, ნამდვილად არ მიღირს. ალბათ, არავის უღირს.“

ზურა, **ფერმერი:** „მარცვლეულ კულტურებში შედარებით გაიოლებულია საქმე. აქ ჯგუფების მუშაობა არაა საჭირო, მაგრამ გარკვეული შეწამვლითი და სასუქით მომარაგების სამუშაოები კიდევაა დარჩენილი. რა თქმა უნდა, აკრძალვების პირობებში ძნელია მუშაობა. ჩემს გარშემო ხალხი და მეც, ვფიქრობთ, რომ კარანტინის

გამკაცრებისა და გახანგრძლივების შემთხვევაში სიტუაცია შეიცვლება და ხალხს უფრო გაუჭირდება მიწაზე მუშაობა. ეს განსაკუთრებით მაშინ მოხდება, როდესაც მოსავლის აღების და რეალიზაციის პერიოდი დადგება. დღეს ხშირად გაიგონებთ, „თუ მიწა არ დავამუშავეთ, რით ვიარსებოთო?“ და ეს მართალი სიტყვებია. მარაგების ამოწურვის შემდეგ, ჩვენთვის პრიორიტეტი მისი შევსება იქნება. შევსებამდე კი მიწა სწორედ იმ ფორმამდე უნდა მივიყვანოთ, რომელიც მოსავალს მოგვცემს. მცირე მიწიანი ფერმერები დღევანდელ აკრძალვებს კიდევ უმკლავდებიან, მაგრამ დიდმიწიანი ფერმერები ნამდვილად ვერ იტყვიან ამავეს. მათ გაცილებით მეტი სამუშაოების ჩატარება უწევთ.“

„ფერმერ ქალთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირინა ფხოველიშვილიც, „რადიო თავისუფლებათან“ საუბარში ამბობს, რომ კორონავირუსის გამო ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და დაწესებული აკრძალვები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ჯერჯერობით არ ასახულა, თუმცა პრობლემები გარდაუვალი იქნება, თუ ეს აკრძალვები იმ დრომდე გაგრძელდა, როცა კახეთში ქერისა და ხორბლის მოსავლის აღება-რეალიზაცია დაიწყება: „როდესაც ინტენსიურად დაიწყება მოსავლის აღების პერიოდი, შეიძლება შეიქმნას სერიოზული პრობლემები, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ აპრილს ეს პანდემია არ გასცდება და კლებას დაიწყებს, რადგან ჩინეთის მაგალითი უკვე გვაქვს. მე ვფიქრობ, რომ მოსავლის აღებამდე სიტუაცია უნდა დარეგულირდეს. ეს ჩვენზე, ხალხზეა დამოკიდებული, როგორ გავუფრთხილდებით საკუთარ თავს და გარშემომყოფებს“.

,,ახლა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის ყველაზე დაძაბული პერიოდია. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მოსახლეობას საფრთხე არ შეექმნას და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არ ჩავარდეს. მათ საშუალება ექნებათ, წავიდნენ მინდორში, ოღონდ უნდა წავიდნენ სოციალური დისტანცირების დაცვით -მარტო წავა და მარტო მოვა, იმუშავებს და ამაში ადამიანს ხელი არ შეეშლება.“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა რეგიონული ინფრასქტრუქტურის საკითხებში, სოზარ სუბარმა.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, რომ სამარშრუტო ტაქსებით ან მიკროავტუბუსებით ექვსზე მეტი ადამიანის გადაადგილება აიკრძალა. „კახეთში აქტიურად მიმდინარეობს ვენახის, ხვნა-თესვითი და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევაჩეროთ ასეთი სამუშაოები. ყველა მევენახეს, კომპანიას, ამ საქმიანობაში ჩართულ პირებს ვაფრთხილებთ, რომ მუშა ხელის გადაადგილება, ტრანსპორტირება, სამუშაო, დასვენებისა და საკვების მიღების პირობები უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგულაციებს. თუ მუშა ხელი გადაჰყავდათ სამარშრუტო ტაქსებისა და მიკროავტობუსების მეშვეობით და იქ იყო 12, 15 ან ზოგჯერ მეტი ადამიანიც, ახალი რეგულაციებით, მასქიმუმ 6 ადამიანი შეიძლება იყოს ასეთ სატრანსპორტო საშუალებაში“, — განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა. სახელმწიფო რწმუნებულმა აღნიშნა, რომ ეს რეგულაცია სამწუხაროდ გაზრდის მეწარმეების დანახარჯებს, თუმცა შეზღუდვის მიზანია კორონავირუსის გავრცელების მაქსიმალური პრევენცია. ,,ეს მეწარმისთვის დამატებითი ხარჯი იქნება, რადგან დაახლოებით სამი გზა უნდა გააკეთოს, მაგრამ უნდა დავიცვათ სტანდარტების ის მინიმუმი, რაც მნიშვნელოვანია ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ანალოგიური რეგულაციები გავრცელდება სხვა სახის სამუშაოების, მათ შორის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე“, - აღნიშნა ქადაგიშვილმა. მსუბუქი ავტომობილით კი აკრძალულია სამზე მეტი ადამიანის გადაადგილება.

რა თქმა უნდა, არსებობს დისკომფორტი, რათქმა უნდა, არსებობს შეზღუდვები, რომლებიც ხარჯებს გაზრდის, მაგრამ თითქმის ყოველ ფერმერს ოპტიმისტური მოლოდინი აქვს. მანამდე კი, სოფელი ვერ ჩერდება, რადგან გაჩერება გამოსავალი არაა! იქედან გამომდინარე, რომ უბრალოდ, სხვა გზა არ არსებობს, შეზღუდვების მაქსიმალური დაცვითა და დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანის იმედით, ფერმერები გამოსავლის ძიებაში არიან. სოფლის გაჩერება ახალი პრობლემების წარმოშობას შეუწყობს ხელს. პრობლემები კი ახალმა გამოწვევამ ნამდვილად იმაზე მეტი გაგვიჩინა, ვიდრე რომელიმე ჩვენგანს წარმოედგინა.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

შელავათი მეურნეთათვის

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილება შესაძლებელი გახდა. გლეხები მეურნეობებამდე ავტოტრანსპორტით მისვლას დილით - 6-დან 8-საათამდე, ხოლო დაბრუნებას საღამოს - 6-დან 7 საათამდე შეძლებენ.

ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვების მოხსნას მიესალმებიან და ამ დრომდე არსებულ დისკომფორტზე აკეთებენ აქცენტს მეურნეები. მიუხედავად ფაქტის პოზიტიურად შეფასებისა, მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ცვლილების დაგეგმვაში ხარვეზებია და მათი ინტერესები ბოლომდე არაა გათვალისწინებული.

მიუხედავად შეზღუდვის მოხსნისა, ამ შემთხვევაშიც, მათ მგზავრთა გადაყვანის წესების დაცვა მოუწევთ. თავისუფლად გადაადგილებისთვის აუცილებელი საშვების გაცემას კი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფს.

ავტომობილებით გადაადგილებასთან ერთად, სეზონური სამეურნეო სამუშაოების გამართულად წარმოებისთვის რეგიონებში პესტიციდების მაღაზიებიც გაიხსნა. ფერმერთა მარკეტები მეურნეებს ავტოტრანსპორტის გადაადგილებისთვის განსაზღვრულ საათობრივ მონაკვეთებში მოემსახურება.

განსხვავებული მოცემულობის მიუხედავად, მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილებაზე შეზღუდვა გაუქმდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონშიც. რწმუნებულის განმარტებით, ურბანული ფაქტორიდან გამომდინარე, აგროპროცესები მხარეში ამ დრომდეც შეუფერხებლად მიმდინარეობდა.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილებაზე შეზღუდვები ძალაში 27 აპრილის ჩათვლით დარჩება. იმ დრომდე, ავტოტრანსპორტით გადაადგილებას მეურნეებთან ერთად, მხოლოდ ის ადამიანები შეძლებენ, რომელთა საქმიანობაც საგანგებო მდგომარეობაშიც დაშვებულია.

მთავრობამ ხორბლის იმპორტის სუბსიდირებისთვის 5 მილიონი გამოყო

საქართველოს მთავრობამ ხორბლის იმპორტის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა. პროგრამის მიზანი არასაფურაჟე ხორბლისა და პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილზე არსებული საცალო სარეალიზაციო ფასის შენარჩუნებაა.

პროგრამა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის საქართველოში ხორბლის იმპორტის მიზნით სუბსიდირებას, შემდეგი პირობებით: სააგენტოს მიერ გამოცხადდება მოწვევა ინტერესთა გამოხატვის შესახებ, რომლის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარები მოახდენენ განაცხადის გაკეთებას სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად;სუბსიდიის მოცულობა შეადგენს ერთ ტონა ხორბალზე არაუმეტეს 40 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში;

პროგრამის ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე სუბსიდია განხორციელდება არანაკლებ 2000 და არაუმეტეს 40 000 ტონა მოცულობის ხორბალზე;სუბსიდირება განხორციელდება 2020 წლის 20 მაისის ჩათვლით იმპორტირებულ ხორბალზე.სუბსიდირება არ განხორციელდება „პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N185 დადგენილების ფარგლებში იმპორტირებულ ხორბალზე.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორბლის იმპორტის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად 5 200 000 ლარი გამოიყო.

პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია, პროგრამის ფარგლებში იმპორტირებული ხორბლის გადამუშავების შედეგად მიღებული/მისაღები შესაბამისი მოცულობის პირველი ხარისხის ფქვილის რეალიზაცია განახორციელოს ერთ 50 კგ-იან ტომარაზე არაუმეტეს 51 ლარად სუბსიდირების ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს მომდევნო 3 თვის განმავლობაში. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაეკისრება მიღებული სუბსიდიით განსაზღვრული თანხის უკან დაბრუნება და პირგასამტეხლო, რომელიც განისაზღვრება მიღებული სუბსიდიის თანხის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 50 000 ლარისა.

ინფორმაციას განაცხადების მიღების დაწყებისა და დასრულების ვადების შესახებ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე www.arda.gov.ge.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და ნავთობისა და გაზის სააგენტომ „ფრონტერას“ წინააღმდეგ დავა მოიგეს

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ აცხადებს, რომ კორპორაციამ და ნავთობისა და გაზის სააგენტომ „ფრონტერას“ წინააღმდეგ დავა მოიგეს.

კორპორაციის ინფორმაციით, 2020 წლის 17 აპრილს საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, ერთი მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა“ და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს, ხოლო მეორე მხრივ, „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენსა“ და „ფრონტერა აშშ-ის“ შორის წარმოშობილ სადავო საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც 1997 წლის 25 ივნისის პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ კონტრაქტიდან გამომდინარეობს.

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მხარი დაუჭირა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ კონტრაქტის ნორმათა ინტერპრეტაციას და მათი სასარჩელო მოთხოვნების აბსოლუტური უმრავლესობა დააკმაყოფილა.

სხვა საკითხებთან ერთად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენმა“ არსებითად დაარღვია კონტრაქტი, რაც ძებნა-ძიების ფართობის (მთელი სალიცენზიო ტერიტორიის 99%) სახელმწიფოსთვის დაბრუნებაზე უარის თქმაში გამოიხატა.

გადაწყვეტილების მიხედვით, „ფრონტერას“ დაევალა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ გადახდილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის თანხა და ასევე, მოსარჩელეების მიერ საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები აანაზღაუროს. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, აგრეთვე, დააკმაყოფილა შუამდგომლობა „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენისა“ და „ფრონტერა აშშ-ის“ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნების გამოთხოვის თაობაზე და ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით წარმოება შეწყვიტა. კონტრაქტის მიხედვით, საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა“, — ნათქვამია კორპორაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამასთან, უწყება აღნიშნავს, რომ ახლა „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისკენ მიმართულ შემდგომ ნაბიჯებსა და კონტრაქტით მინიჭებული სხვა უფლებების განხორციელების საკითხებს განიხილავენ.

იმედია, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ დედოფლისწყაროელი თანამშრომლებიც მიიღებენ კუთვნილ სახელფასო დავალიანებას.

პანდემია და ნავთობის ფასი

კორონავირუსის პანდემიის გამო, რასაც მსოფლიოში ეკონომიკური აქტივობის შეჩერება მოჰყვა მსოფლიო ბაზარზე, ბარელი ამერიკული ნედლი ნავთობის ფასი 11.54 დოლარი გახდა.

CNBC წერს, რომ ასეთი დაბალი ფასი ნავთობზე 1983 წლის შემდეგ არ ყოფილა. ნავთობზე ფასის ვარდნა პანდემიის გამო მასზე მოთხოვნის მკვეთრ შემცირებას უკავშირდება, ამიტომ ინდუსტრია ნავთობის მიმწოდებლებისგან წარმოების შემცირებას ითხოვს. თვის დასაწყისში OPEC-ის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ ნავთობის წარმოების 10%-ით შემცირებაზე. BBC-ის თანახმად, ამ დოზით ნავთობის მოპოვება არასდროს შეუმცირებიათ.

Forbes-ის თანახმად, შესაძლოა, რომ უახლოეს პერიოდში ფასი $10-მდეც კი დაეცეს.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვარალაშვილი ამბობს, რომ საქართველოში საწვავზე ფასი საშუალოდ 40 თეთრით არის შემცირებული. მისივე მტკიცებით, საქართველოში საწვავზე ფასი კიდევ შემცირდება.

„საწვავზე ფასები საშუალოდ 40 თეთრით შემცირდა. ბრენდირებული კომპანიის შემთხვევაში ისინი ე.წ. ლოიალურ მომხმარებლებს, რომლებიც მათი ბარათებით სარგებლობენ ან კორპორატიული მომხმარებლები არიან, კიდევ დამატებით იღებენ 10-15- თეთრიან ფასდაკლებას. ასეთი ბარათები სხვადასხვა კომპანიის თითქმის ყველა მომხმარებელს აქვს. ბუნებრივია, ფასების კლება გაგრძელდება“, — ამბობს მთვარალაშვილი.

როგორც CNBC წერს, ნავთობზე მოთხოვნის შემცირების ფონზე, აშშ-ში ნავთობის რეზერვები იზრდება, რაც ფასის კლებას განაპირობებს. 2019 წელს ერთი ბარელი ნავთობის საშუალო ფასი $64 იყო, 2018 წელს კი -$71.

2020 წლის მარტიდან, – პანდემიის გავრცელების პარალელურად, – რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის, რომლებიც ნავთობის ბაზარზე მსხვილი მოთამაშეები არიან, „ნავთობის ფასების ომი“ მიმდინარეობს.

ნავთობის ფასები მას შემდეგ დაეცა, რაც რუსეთმა და ოპეკმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ნავთობის მოპოვების შეზღუდვაზე.

რუსეთმა უარი განაცხადა, დაეკმაყოფილებინა ოპეკის მოთხოვნა ნავთობის მოპოვების შემცირებაზე. ოპეკის ქვეყნებს სურდათ, ამგვარად დახმარებოდნენ სანავთობო ბაზარს, რომელსაც კორონავირუსის გამო ბოლო დროს პრობლემები შეექმნა.

ამასთან ერთად, საუდის არაბეთმა კიდევ ერთი ზომა მიიღო და განაცხადა, რომ აპრილში თავისი ნავთობის ფასს ბარელზე 6-8 აშშ დოლარს დააკლებს. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამის მიზანი ბაზარზე თავისი წილის გაზრდა და რუსეთზე ზეწოლაა.

ნავთობის ფასის დაცემასთან ერთად გაუფასურდა რუსული რუბლიც.

„თიბისი ჯგუფის“ მთავარი ეკონომისტი ოთარ ნადარაია ამბობს, რომ ამერიკული ნავთობის ფასის დაცემა ლარის კურსზე განსაკუთრებულ გავლენას ვერ მოახდენს, თუმცა შემოსავლების კუთხით ეს უარყოფითად მოქმედებს საქართველოზე, ჩვენი ნავთობზე დამოკიდებული ეკონომიკურ პარტნიორებზე უარყოფითი ზეგავლენის გამო.

„ამერიკული ნავთობის ფასის დაცემა და მისი უარყოფითი მაჩვენებელი დროებითია, რადგანაც შემდეგი პერიოდის კონტრაქტები არ არის ასე შემცირებული. თუმცა, რა თქმა უნდა შემოსავლების კუთხით ეს უარყოფითად მოქმედებს ჩვენზე, ჩვენი ნავთობზე დამოკიდებულ ეკონომიკური პარტნიორებზე უარყოფითი ზეგავლენის გამო, რაც ამ ეტაპზე უფრო მეტია ვიდრე დაბალი ნავთობის ფასიდან გამომდინარე ნაკლები იმპორტიდან მიღებული დადებითი ეფექტი. საბაზო სცენარით, 2020 წლის ბოლოსათვის ბრენტის ტიპის ნავთობზე ფასის დაახლოებით 40 დოლარამდე ზრდა გვაქვს გათვალისწინებული. ეს ფასი მნიშვნელოვნად ნაკლებია COVID-19-ის კრიზისამდე არსებულ, დაახლოებით 65 დოლარის ნიშნულზე, თუმცა ის ჩვენი ნავთობზე დამოკიდებული ეკონომიკური პარტნიორებისთვის მაინც მნიშვნელოვანი დამბალანსებელი ფაქტორი იქნება“, - განმარტავს ოთარ ნადარაია.

ოთარ ნადარაია ლარის კურსის გაუფასურების მოლოდინზეც საუბრობს და ამბობს, რომ ლარი დოლართან მიმართებაში შესაძლოა დაახლოებით 3.3-მდეც გაუფასურდეს, თუმცა წლის ბოლოსთვის 3.1-ს მიაღწევს.

„ამ პერიოდში ლარი შესაძლოა მცირედით გაუფასურდეს. თიბისი კაპიტალის მოდელის მიხედვით დაახლოებით 3.3-მდე აშშ დოლართან მიმართებაში. თუმცა, წლის ბოლოსთვის 3.1-ს ვფიქრობთ, ისევ და ისევ იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ვალუტების გავლენა რა იქნება, რა იქნება ვალუტის შემოდინება-გადინების ბალანსი და ეროვნული ბანკის მიდგომა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს რეალობაში, ვალუტის მიწოდების შემცირებას აუცილებლად თან ახლავს ლარის მიწოდების შედარებით ნაკლები ოდენობა. სხვაგვარად მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება პრობლემურია. ზემოაღნიშნული სცენარით, 2020 წელს ინფლაცია დაახლოებით 5-6%-მდე იქნება და ლარის კიდევ უფრო მკვეთრი გაუფასურება თავისთავად ფასების ზრდაზე კიდევ უფრო მეტ ზეწოლას განაპირობებს. ასევე, ჩემი აზრით, მინიმუმ არაა გამორიცხული რომ საქართველოს რეალობაში გაუფასურება ეკონომიკის ზრდას არათუ არ ზრდის, არამედ ამცირებს კიდეც. ვალუტის მიწოდების კუთხით, გარდა უკვე პრაქტიკულად მობილიზებული საგარეო დახმარებებისა, ვფიქრობ რომ უკვე გაჟღერებული ე.წ. სავალუტო ჰეჯირების სქემა ძალზედ ეფექტიანი იქნება“, - ამბობს ოთარ ნადარაია.

„გლობალური რეცესიაა, ვხედავთ რა სჭირს ნავთობის ფასს, დაიწყება ჯაჭვური რეაქცია და ყველა ის კომპანია, რომელიც ნავთობზეა მიბმული, გაკოტრებას დაიწყებს“, - ამის შესახებ ბიზნესის სამართლის სპეციალისტმა აკაკი ჩარგეიშვილმა განაცხადა. იურისტი ამბობს, რომ კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, ნავთობიმპორტიორ კომპანიებს დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან. მისი თქმით, მაშინ როდესაც ქვეყანაში რამდენიმე გამორჩეული კომპანია ოპერირებს გაკოტრების საფრთხე რეალურად არსებობს.„კომპანიებს გაყიდვები 40 პროცენტით შეუმცირდათ, პანიკური სიტუაცია რომ დამთავრდება, გაყიდვები შეიძლება 5-10 პროცენტით გაიზრდოს. ყველა იმპორტიორს ნავთობი შეძენილი აქვს იმ პლაცის მიხედვით, რომელიც 2-3 თვის წინ იყო, მაისის პერიოდისთვის, როდესაც სავარაუდოდ ყველაფერი დამშვიდდება და ეკონომიკა გაიხსნება, ნავთობის ფასი დავარდნილი იქნება და იმ ფასში, რომელიც კომპანიას გადახდილი აქვს საწვავს ველარ გაყიდიან, რადგან დღეს ნავთობის ფასი მინუსშია გადასული. ჩვეულებრივი ფაქტია ის, რომ კომპანიები უნდა გაკოტრდნენ და რაც უფრო ადრე დაიწყებენ გაკოტრების რეჟიმის პროცედურებს, მით უფრო უკეთესი იქნება, არ იწვალებს ეკონომიკა და სიჯანსაღეს მალე მივაღწევთ“, - განაცხადა აკაკი ჩარგეიშვილმა.

ბიზნესის სამართლის სპეციალისტის განმარტებით, ბაზარზე გამოჩნდებიან წვრილი კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა აქტივებს იყიდიან, რა დროსაც ერთი მეწარმის დონეზე ბევრი პრობლემა მოგვარდება.

„მაგალითად, ვისოლს, ლუკოილს, ან სხვა კომპანიას შეიძლება არ უღირდეს ერთი ბენზინგასამართი სადგურის მოვლა ბაკურიანში, რადგან დიდი კომპანიაა და ერთიანად ხარჯები ყველგან ვერ გაწვდება, თუმცა, შესაძლებელია ბაკურიანში გაჩნდეს კონკრეტული ერთი მეწარმე, ვისაც უღირს ამ ბიზნესის მართვა, იქ ცხოვრობს, მისი მზრუნველობა ამ კონკრეტულ ობიექტზე ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს, ვიდრე მსხვილი კომპანიის, რომელიც ცალკე დაცვას ქირაობს, ცალკე ბუღალტრები ჰყავს და ა.შ. ინდივიდუალური დაყოფიდან გამომდინარე, ახალი დასაქმებულები გაჩნდებიან. ეს რეალურად გველოდება და არ უნდა შეგვეშინდეს. ნებისმიერი კრიზის ეს არის გამოწვევა ახალი და შესაძლებლობების გაჩენა“, - ამბობს აკაკი ჩარეგიშვილი.

შეგახსენებთ, რომ პირველად მსოფლიო ისტორიაში ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ამერიკული ნავთობის ჭთI-ს ღირებულება ნეგატიური გახდა- ეს კი ნიშნავს, რომ ნავთობის მწარმოებლები მყიდველებს თანხას უხდიან, რათა ნავთობი გაყიდონ და არ გადაიტვირთოს თავიანთი საცავები, რისი საფრთხეც მაისის თვეშია მოსალოდნელი. ნავთობის გაუფასურება მას შემდეგ დაიწყო, რაც მარტის დასაწყისში ნავთობის მსხვილი მწარმოებელი სახელმწიფოები და მათი პარტნიორები ყოველდღიურად მოპოვებული ნავთობის მოცულობის შემცირებაზე ვერ შეთანხმდნენ. მოგვიანებით, OPEC-ის წევრებმა შეთანხმება შეძლეს, თუმცა ნავთობის ფასზე კორონავირუსის პანდემია აისახა და ნავთობზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად დაეცა.

შიში და კორონავირუსი

ახალი ტიპის კორონავირუსი, პირველად ჩინეთში, ქალაქ უხანში, გასული წლის დეკემბრის ბოლოს დაფიქსირდა და დღემდე მსოფლიო მასშტაბით უდიდეს საფრთხედ ითვლება. კორონავირუსის გავრცელების ფონზე, შიშებსა და ვირუსთან ბრძოლის სიმამაცეს დიდი სულიერი სიმტკიცე სჭირდება.

არაფერი ისე არ აშინებს ადამიანს, როგორც სავარაუდო სიკვდილის მოახლოებული საფრთხე. მით უფრო, თუ ამ საფრთხეზე მებაფონში ჩაყვირინა.ეს მხოლოდ ჩვენი, ერთვნული საქმე არ გებგონოთ და თავზე ნაცარს ნუ წაიყრით, ყველგან ასეა და ყოველთვის. 1938 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უელსის ცნობილი რადიოდადგმის შემდეგ, უცხოპლანეტელების შემოსევის შესახებ, ხალხი ქუჩაში გამოცვივდა და ზოგს თვეობით ველარ აჯერებდნენ საწინააღმდეგოს. ახლაც, არაერთ დასავლურ ქალაქში, მომეტებული წვიმის პროგნოზირებისასაც კი, რომელსაც აპლიკაცია გამცნობთ, დიდი შფოთვა იწყება. და რა გასაკვირია, რომ ჯერაც დაუმარცხებელი ვირუსი შიშს იწვევდეს. აქაც და იქაც.

არაფერი ამშვენებს ისე ადამიანს, როგორც შიშის დამორჩილება. დამარცხება არა. დამარცხებით შიში ვერ მარცხდება. შიში და ადამიანი ერთი და იგივეა. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა" — იმას კი არ გვეუბნება, სიკვდილის არ გვეშინოდეს და ცეცხლში თავი შერგეთო. არა! უბრალოდ, შიშით სიკვდილის ვერ აირიდებო. ამიტომ, ეს შიში, შენსავე იარაღად უნა აქციო და სიკვდილი სხვანაირად გადაავადო.

ახალმა კორონავირუსმა ცვლილება შეიტანა ჩვენს ემოციებში. შიში და სტრესი იმაზე ხშირად გვახსენებს თავს, ვიდრე ვისურვებდით. როგორ გავუმკლავდეთ სტრესს? რა შეიძლება დავუპირისპიროთ შიშს? როგორ ვმართოთ ემოციები?

ამ და სხვა საკითხებს ფსიქოლოგი დავით ფორჩხიძე ასე განმარტავს.

- შიში ბუნებრივი რეაქციაა საფრთხეზე, რომელიც გადარჩენაში გვეხმარება. ყველა ნორმალურ ადამიანს ეშინია რაღაცის. შიშების უმეტესობა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, საბოლოო ჯამში, სიკვდილის შიშზე დაიყვანება. ძნელია გაუმკლავდე დაცვით მექანიზმს, რომელსაც ბუნება მილიონობით წლის განმავლობაში აყალიბებდა ცოცხალ ორგანიზმში.

- და ისიც კი საკითხავია საჭიროა თუ არა შიშთან ბრძოლა.

ყველა "უშიშარი" ან ხმალკბილა ვეფხმა შეჭამა ათასობით წლის წინ ან მამონტმა წამოაგო ეშვზე ან მოპირისპირე ტომის შუბმა იმსხვერპლა. შესაბამისად, შიში რომ არა, ადამიანი, როგორც სახეობა, საერთოდ ვერ მოაღწევდა დღევანდელ დღემდე. სხვა საკითხია შიში, რომელიც პანიკაში გადადის და რაციონალურ აზრონებას უშლის ხელს. ხო, ალბათ, ასეთ შიშს ჭირდება შემსუბუქება და ერთგვარი "მართვა". იმისთვის, რომ ფანტაზიებმა არ შეგვაშინოს, ალბათ, საჭიროა გვახსოვდეს ერთი ჭკვიანი კაცის ნათქვამი, რომ "ტვინი არ არის ნაგავსაყრელი, ამიტომ გაფილტრეთ ინფორმაცია რომელსაც შიგ უშვებთ". ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა მოვერიდოთ ემოციურად შეფერილი ინფორმაციის მიღებას.

განსაკუთრებით ზოგიერთი მედიის მიერ ისტერიული ტონით მოწოდებულ ინფორმაციას. ისე ფუთავენ და ისეთი ტონით გაწოდებენ მინიმალური საფრთხეც რომ იყოს, შენ ამას აღიქვამ და იღებ, როგორც მაქსიმალურს. ასეთ შემთხვევაში, ჯობს, მშრალი ინფორმაცია მოვიპოვოთ ვთქვათ ინტერნეტში. მაქსიმუმი უნდა ვიცოდეთ იმაზე, რისიც გვეშინია. რაც უფრო კარგად ვიცნობთ ჩვენს მტერს, მით უკეთესი არის ჩვენთვის. მაგრამ ეს ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად მშრალი, რაციონალური, ემოციურად ნაკლებ შეფერილი წყაროდან მიღებული. საფრთხე არის, მაგრამ მისი თავიდან აცილება შეიძლება ცოდნით და გარკვეული, მინიმალური წესების შესრულებით. ოღონდ ამ ისტერიულ საინფორმაციო ველს გამოვეთიშოთ. მოვიძიოთ მხოლოთ ის, რაც დაგვეხმარება, რომ არ შეგვეყაროს და ჩვენს ახლობლებს არ შეეყაროთ ვირუსი. მაგრამ მოერიდეთ ისეთს, რაც არ დაგვეხმარება და მხოლოდ ნერვიულობას და უძილო ღამეებს გამოიწვევს.

- როგორ შეიძლება მოვიქცეთ მაშინ როცა, შიში რაღაც მომენტში მოგერია, ჩაგითრია პანიკამ და ატყობ, რომ კონტროლს კარგავ?

-პანიკის შეტევა თუკი დაიწყო, არის ერთი კლასიკური ვარიანტი - ღრმა და ნელი სუნთქვა. ნელი ჩასუნთქვა და უფრო ნელი ამოსუნთქვა.

არავითარ შემთხვევაში საწოლში ჩაწოლა, თავზე საბნის გადაფარება და სიკვდილის დალოდება. პირიქით - გადით აივანზე თუ ეზოში, რა ვარიანტიც გაქვთ. ჯობია გარეთ გაიხედო შეხედო ბუნებას, ღრუბლებს ბოლოსდაბოლოს. ყურადღება გადაიტანო რაღაც კარგზე ისუნთქო ნელა,ზომიერად და ღრმად.

-რამდენად შესაძლებელია ასე ვთქვათ, გონებით შიშთან გამკლავება?

გონებით შიშის დამარცხებას არ მოაქვს შედეგი... შიში გაცილებით ადრე გაჩნდა, ვიდრე გონება. ამიტომ ერთადერთი საშუალება გვაქვს ყურადღების სხვა რამეზე გადატანა. ჩვენ თუ დავიწყეთ მტკიცება და ჩვენ თავთან დიალოგი იმაზე რომ მაგარი ვარ, არ მეშინია, შიშს დავძლევ, მაშინ უკვე წაგებული ვართ.

„უნდა ებრძოლო მტერს იქ, სადაც ის არ იბრძვის", აღმოსავლური სიბრძნეა ასეთი.

შიში მაშინვე ქრება როგორც კი ყურადღება იმ გამაღიზიანებლიდან, იმ სტიმულიდან, რომელიც შიშს იწვევს გადაიტან სხვა გამაღიზიანებელზე, ნეგატიური სტიმულიდან ყურადღებას მიმართავ პოზიტიურ სტიმულზე. თუნდაც მზის ამოსვლაზე. დილით ადექი და გახედე მზე როგორ ამოდის და იფიქრე იმაზე რომ იგი კიდევ მილიონი წელი გაანათებს დედამიწას. ანუ სამყარო არ დასრულებულა.

ისეთი არაფერი ხდება რაც ჯერ არ მომხდარა, მილიონს გავუძელით და მილიონს გავუძლებთ, გადავიტანთ. მთავარია, არ ავყვეთ მასიურ პანიკას. გვქონდეს რაციონალური, ზომიერი დამოკიდებულება საფრთხის მიმართ. გვეშინოდეს, რა თქმა უნდა, ჯობია სხვებიც შევაშინოთ გარკვეულ დონეზე, იმისთვის რომ გადავრჩეთ ყველანი.

შიშის გარდა მეორე ემოცია გაჩნდა ხალხში. ერთგვარი აჟიტირების და გააქტიურების. ადამიანები ერთმანეთს ურეკავენ, საუბრობენ გაუთავებლად ესეც ალბათ არის შიშისგან დაცვის ერთგვარი საშუალება. ადამიანის ტვინი თავად ცდილობს იპოვოს გამოსავალი."

ბოლოს მინდა დაგაიმედოთ და ჩამოვთვალო ათი მიზეზი, თუ რატომ არ უნდა ჩავვარდეთ პანიკაში კორონავირუსის ფართოდ გავრცელების გამო.

1. ვირუსი ჩვენთვის ცნობილია.

2. „კოვიდ-19"-ის გამოსავლენად ტესტი 13 იანვრიდან არის ხელმისაწვდომი.

3. ჩინეთში სიტუაცია გაუმჯობესდა.

4. ვირუსის შემთხვევათა 80 პროცენტი მსუბუქია.

5. ხალხი გამოჯანმრთელდა.

6. ბავშვებში „კოვიდ-19" მსუბუქად მიმდინარეობს .

7. ვირუსი ემორჩილება დეზინფექციას.

8. მეცნიერები აქტიურად მუშაობენ.

9. ვაქცინის პროტოტიპი უკვე არსებობს.

10. ანტივირუსული პრეპარატების გამოცდა დაწყებულია.

მასალა მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ბავშვები და სიფრთხილის ზონა

როგორ ავუხსნათ პატარებს, რა არის კორონავირუსი და როგორ ვასწავლოთ მათ პირადი ჰიგიენა?

დისტანციური სამყარო, რომელიც კორონავირუსმა შექმნა, ბავშვებისთვის, ერთი მხრივ, საზიანოა. პატარები ტელევიზიით ინფორმაციას უწყვეტ რეჟიმში იღებენ და ისინი ნეგატიური ამბების მიმართ საკმაოდ მგრძნობიარეები არიან. რა უნდა მოვიმოქმედოთ ასეთ ვითარებაში?!

პატარებისთვის გრიპი, გაციება და მათი სიმპტომები ნაცნობია, კორონავირუსი კი მათთვის ახალი ხილია და გარკვეულ დაძაბულ ფონს ქმნის. აუხსენით ბავშვებს, რა არის კორონავირუსი და როგორ მოქმედებს ის. ასაკის შესაბამისად დაარწმუნეთ პატარები თავის დაცვის აუცილებლობაში და ხაზი გაუსვით იმას, რომ სასიკვდილო არაფერია.

ბავშვების პასიურობა დაუშვებელია. უმჯობესია, თამაშით ასწავლოთ მათ პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა და შესთავაზოთ ვირუსის ერთობლივი დამარცხება. მაგალითად, მიეცით პატარებს სადეზინფექციო ხსნარში დამუშავებული ნაჭერი და „ათამაშეთ" ტელეფონის ეკრანის და ტელევიზორის პულტის გაწმენდა. ეს ქცევა მათ მალე ჩვევაში გადაეზრდებათ.

ბავშვებმა არ იციან არც სოციალური დისტანციის მნიშვნელობა, ამიტომ აუცილებელია, სახლიდან გაყვანისას მათთან ერთად გაზომოთ 2 მეტრი და ასწავლოთ პატარებს, რა მანძილით უნდა ჩამოშორდნენ ქუჩაში მყოფ ადამიანებს.

სახლიდან ბავშვების გაყვანისას რეკომენდებულია სადეზინფექციო ხსნარის თან ტარება და პატარებისთვის ერთი ფლაკონის მიცემა, რათა მათ თავად გამოიმუშავონ თამაშისას პერიოდულად ხელების დამუშავების ჩვევა. ასწავლეთ მათ დახველების ეტიკეტიც. ეს წესები ბავშვებს საფრთხეს აარიდებს თავიდან.

ფერმერული მეურნეობა და ჭამიანობა

ახალმა კორონავირუსმა მსოფლიო წესრიგი შეცვალა. შეცვალა ჩვენი რეალობაც. ადამიანების უმრავლესობა დისტანციური ურთიერთობის რეჟიმზე გადავიდა.გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა ხდება პანდემიის ფონზე აგრარულ სექტორში, იქ, სადაც დისტანციური მუშაობა და ურთიერთობა

წარმოუდგენელია.

-როგორ მუშაობენ კორონავირუსის პირობებში დედოფლისწყაროს ფერმერული მეურნეობები და როგორ უმკლავდებიან არსებულ გამოწვევას? ამ კითხვით ახლგაზრდა, მაგრამ გამოცდილ ფერმერს ბექა გონაშვილს მივმართეთ, რომელიც „საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელიცაა და „წერტის“დამფუძნებელიც. წერტი „აგროქიზიყის“ ბრენდული მაღაზიაა, რომელშიც კომპანიის მიერ წარმოებული ხორცი, რძის ნაწარმი და სხვა პროდუქტები იყიდება.

მაღაზია „წერტი“ 150-ზე მეტი ფერმიდან მარაგდება, რომლებიც პირუტყვს კომპანიის რეკომენდაციებით, ანტიბიოტიკების გარეშე ზრდიან და საუკეთესო შედეგებს იღებენ.რძის პროდუქტების სტაბილურად მაღალ ხარისხს კომპანიის მობილური ლაბორატორია უზრუნველყოფს, რომელიც მერძეული მიმართულების ფერმებზეა მორგებული.კომპანიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას მემარცვლეობა წარმოადგენს. მაღაზიაში მომხმარებელს ქართული ხორბლის ფქვილით გამომცხვარი უგემრიელესი პურის შეძენა შეუძლია.

-ამ ეტაპზე კორონავირუსს ჩვენთვის განსაკუთრებული პრობლემა ან დისკომფორტი არ შეუქმნია. ნორმალურად ვმუშაობთ, ვიცავთ საგანგებო მდგომარეობის რეგულაციებს, ვითვალისწინებთ უსაფრთხოების წესებს და არანაირი პრობლემა ამ ეტაპზე არ გვაქვს, არც აქ, ადგილზე დედოფლისწყაროში და არც თბილისში, ჩვენს სარეალიზაციო ქსელში „წერტი“.

-დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა რძის ფხვნილის დაზღვევის თემას სახელმწიფოს მხრიდან. რას იტყოდით ამ საკითხთან დაკავშირებით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანაში ნატურალური რძის პროდუქციამ მეტი ადგილი დაიკავოს ადგილობრივ ბაზარზე?

-რძის ფხვნილის სუბსიდირება რომ უნევს სახელმწიფოს, ეგ საკითხი არც მე მომწონს, მაგრამ დღეს საქართველო იმდენადაა დამოკიდებული იმპორტირებულ ფხვნილზე, რომ მისი გაძვირება, რაც ვალუტის კურსის ცვლილების გამო ხდებოდა, გამოიწვევდა რძის და რძის პროდუქტების გაძვირებას. ამ კუთხით ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ახსნადია, თუმცა მტკივნეულია ეგ საკითხი.

-როგორ გგონიათ, კორონავირუსის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური რყევები რამდენად საგრძნობი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და რა უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოს მომავალში ჰქონდეს იმისი რესურსი, რათა ნაკლებად აიცილოს ეკონომიკური საფრთხე?

-რა თქმა უნდა, საგრძნობი იქნება და ეს უკვე ჩანს კიდეც. რა უნდა გაკეთდეს?- მაქსიმალურად უნდა მოხდეს ქვეყანაში არსებული პოტენციალის მოძებნა და მათი გოლომდე გამოყენება, მათ შორის, რა თქმა უნდა, მიწის რესურსების, რათა პროდუქციის წარმოება ქვეყანაში გავზარდოთ.

ნიკოლოზ ბენიაიძე „შირაქი + ს“ დამფუძნებელია. რძის შემკრები პუნქტით დაწყებული საქმიანობა მალევე გადაიზარდა დიდ წარმოებაში. წარმატებას საფუძვლად დაედო კომპანიის დამფუძნებლის და თანამშრომლების ევროპასა და ამერიკაში სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში მიღებული გამოცდილება და ცოდნა. 2013 წელს საფუძველი ჩაეყარა შირაქის ბიო ფერმას. საზღვარგარეთ ნანახმა წარმატებულმა და მზარდმა ბიო მეურნეობებმა დიდი ზეგავლენა იქონია კომპანიის დამფუძნებლის, ნიკოლოზ ბენიაიძის მომავალ ხედვებზე. ეს იყო დიდი გამოწვევა და რთული პროცესი, რომელმაც 4 წელზე მეტი ხნის ინტენსიური შრომა მოიცვა და მთლიანად შირაქის გუნდს შეეხო. ბიო სერთიფიკატის მიღების შედეგად „შირაქი“ ამიერკავკასიაში პირველი და ერთადერთი ბიო რძის მწარმოებელი გახდა.

„ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც ჰოლშტეინის ჯიშის მაღალპროდუქტიული პირუტყვი ესტონეთიდან შემოიყვანა. პროცესი ნახევარი წელი მიმდინარეობდა და ამ პერიოდში ამერიკიდან, უკრაინიდან, ესტონეთიდან და ჰოლანდიიდან მაღალკვალიფიციური ბიოტექნოლოგები, ზოოტექნიკები, ბიომენეჯერები, ვეტერინარები და პრაქტიკოსი ფერმერები მოვიწვიეთ. მათი მრავალწლიანი გამოცდილება ადგილობრივ რეალობას მოვარგეთ. ადგილზე საქმის შესწავლით გავაუმჯობესეთ ცოდნა და სამუშაოს ხარისხი.

„შირაქი“ ხელს უწყობს მერძევეობის განვითარებას - ჩამოყალიბდა მერძევეთა ასოციაცია, რომელიც ეხმარება საქართველოში სარძევე ფერმებისა და ნედლი რძის წარმოების განვითარებას“- ამბობს მისი დამფუძნებელი, რომლის დიდი სურვილია, რომ საქართველოს მოსახლეობა ნატურალურ პროდუქციას იღებდეს საკვებად. ის გულისტკივილით საუბრობს იმ პრობლემებზე, რომელიც მისი სურვილის განხორციელებას ხელს უშლის. მათ შორისაა, კორონავირუსული კრიზისის ფონზე, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული რძის ფხვნილის საკითხი.

ნიკოლოზ ბენიაიძე: **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნედლი რძის დეფიციტია, მასზე მოთხოვნა დიდი კომპანიებიდან არ არსებობს. ეს კი არ გვაძლევს საშუალებას, მეტად განვითარდეთ. ამას დაემატა ის, რომ სახელმწიფოსგან დაზღვეულ 9 პროდუქტს შორისაა რძის ფხვნილი, რაც კიდევ უფრო უშლის ხელს რძის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობების განვითარებას. ვითვალისწინებთ არსებულ სიტუაციას და იმასაც, რომ დღეისათვის ბაზრის 80%-ს შეადგენს რძის ფხვნილი, მაგრამ ჩვენს სექტორში მომუშავე ადამიანებმა ვერ მოვისმინეთ, რას გვთავაზობს სახელმწიფო ნედლი რძის მწარმოებლებს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობისთვის. გამოსავალს რაც შეეხება- გამოსავალია ის, რომ პირველ რიგში, უნდა გაცოცხლდეს პარლამენტის თაროზე შემოდებული საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც რძემჟავა პროდუქტების დღგ-სგან განთავისუფლებას ითვალისწინებს. მოგეხსენებათ, ყველი გათავისუფლებულია დღგ-სგან. ჩვენი მოთხოვნაა, რძემჟავა პროდუქტები და თვითონ ნედლი რძეც გათავისუფლდეს დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს მიიღოს ის ბოთლში ჩამოსხმული სახით. დღეს, მწარმოებლები თავს იკავებენ ნედლი რძის შესყიდვისგან მისი მაღალი ფასის გამო, ამიტომ ქართველი მომხმარებელი, რძის ფხვნილისგან დამზადებულ რძეს ყიდულობს. და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში არსებობს ნატურალური რძის საკმარისი რესურსი. ვფიქრობ, პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საქართველომ უნდა მიხედოს სოფლის მეურნეობას და ხელი შეუწყოს ადგილობრივი პროდუქციის წარმოებას. ნელ-ნელა უნდა შემცირდეს იმპორტი და სამამულო ბაზარი ადგილობრივი პროდუქტით უნდა გაჯერდეს“.**

იმ შემთხვევაში, თუ დღგ-ს მოხსნის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნება, ნიკოლოზ ბენიაიძე ქვეყნის ხელისუფლებას სხვა, ალტერნატიულ გზას სთავაზობს რძის პროდუქტების წარმოების წახალისების მიზნით: „როგორც იყო ერთი პერიოდი სუბსიდირებული ყურძენი, ასე მოხდეს 1 ლიტრი ნედლი რძის წარმოების წახალისებაც. დღეს თუ 70-80 %-ია ნატურალური რძის წარმოების დეფიციტი ჩვენს ბაზარზე, განვითარდეს ფერმერული მეურნეობები და მივიდეთ იქამდე, რომ 80 % ჩვენი ვაწარმოოთ. ამისი საშუალება ქვეყანას გააჩნია ბუნებრივი პიროგებიდან გამომდინარე. ჩვენი ასოციაციის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ თუ წელიწადში ვაწარმოებთ 70-80 ტონა ნედლ რძეს, ერთ წელიწადში შეგვიძლია, მინიმუმ გავაორმაგოთ“-აცხადებს ბენიაიძე.

ახალმა კორონავირუსმა მსოფლიო კიდევ ერთხელ დააფიქრა ბევრ რამეზე. მათ შორის ჩვენმა ქვეყანამაც იგრძნო, რომ მხოლოდ „მომხმარებელი ქვეყნის“ სტატუსი კარგს ვერაფერს მოიტანს. გაჭირვებამ გვაჩვენა, რომ პირბადეების წარმოება ჩვენც შეგვძლებია... და არა მარტო! დროა, ქვეყანაში არსებული რესურსების სწორად გამოყენებასა და მართვაზე ვიფიქროთ. კარგია, რომ ამ კუთხით მუშაობა ხელისუფლებამ უკვე დაიწყო. კარგია, რომ ბევრი, ქალაქში წასული დაუბრუნდა სოფელს და მიწის დამუშავებასაც მიჰყო ხელი. ზოგიერთი ჯერ ისევ ფიქრობს...

ვნახოთ, საკმარისი აღმოჩნდება თუ არა კორონავირუსული გაკვეთილები?

ინგა შიოლაშვილი

მკაცრი კარანტინის პირობებში ჩატარებული აქცია - რა მოხდა მარნეულში?

მარნეულის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის მცხოვრებლებმა, მკაცრი კარანტინის პირობებში, რამდენიმესაათიანი აქცია გამართეს.

არფალოს, კირფალოსა და ახმამედლოს მოსახლეობა ხელისუფლებისგან დახმარებას სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზებაში ითხოვდა. აქციის მონაწილეებთან ერთად შაომიანში, ოპოზიციური პარტიების ადგილობრივი ლიდერებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ პროტესტს შემთხვევით შეუერთდნენ.

აქციაზე მისულ ქვემო ქართლის გუბერნატორს, შოთა რეხვიაშვილს შეძახილებით დახვდნენ. ხელისუფლების წევრების გამოჩენას სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. გუბერნატორმა აქციას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა. ადგილობრივი მთავრობის მტკიცებით, პროდუქციის რეალიზაციის შეფერხება, ბაზარზე მოთხოვნის დროებითმა შემცირებამ გამოიწვია.

სიტუაცია დღის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამწვავდა. სოფელ შაომიანში, ადგილობრივებმა პროტესტის ნიშნად ის საავტომობილო გზა გადაკეტეს, რომლითაც დისტრიბუციისა და სამედიცინო დახმარების მანქანები სარგებლობენ. ვითარების შედარებით განმუხტვა ადგილზე სოზარ სუბარისა და მარაგების მართვის შტაბის უფროსის გამოჩენამ შეძლო. პრემიერის მრჩეველი მოსახლეობას პროდუქციის გასაღებაში დახმარებას დაჰპირდა.

მარნეულის მოვლენები დღეს პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა პარლამენტშიც. ირაკლი კობახიძემ, პანდემიის დროს მოსახლეობის სარისკო პროვოცირებაში, “ნაციონალური მოძრაობა” და “ევროპული საქართველო” დაადანაშაულა. საპასუხოდ ოპონენტებმა ხელისუფლების არასწორი შეზღუდვები გააკრიტიკეს, თუმცა აქციაზე მისულ მხარდამჭერებს კანონმორჩილებისკენ მოუწოდეს.

აქცია მარნეულში მას შემდეგ დაიშალა, რაც ცნობილი გახდა, რომ უახლოეს დღეებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარაგების მართვის შტაბი ადგილობრივებს მოსავლის რეალიზებაში დაეხმარება.

ემიგრაცია და პანდემია

ვაგრძელებთ რუბრიკას "ჩვენი თანამოქალაქეები ევროპაში და პანდემია". დღეს გაზეთს საბერძნეთის დედაქალაქიდან-ათენიდან სტუმრობენ ჩვენი თანამოქალაქეები ცირა და თაია წიკლაურები. ისინი რამდენიმე წელია, საბერძნეთში ცხოვრობენ და მუშაობენ. როგორ შეცვალა მათი ცხოვრება ახალმა კორონავირუსმა, ამას თავად მოგვიყვებიან:

ცირა წიკლაური:

-ვერ ვიტყვი, რომ საბერძნეთი მომზადებული შეხვდა პანდემიას. ეს ვირუსი ყველასთვის მოულოდნელი იყო. თავიდან არავის ეგონა, ამხელა მასშტაბებს თუ მოიცავდა, აქაც ნელ-ნელა ვრცელდება და იზრდება გარდაცვლილთა რაოდენობა, გასცდა ასს უკვე.აქაურ მოსახლეობას ნამდვილად უჭირს სახლში გამოკეტვა და გარეთ გაუსვლელობა,(ბებიაჩემს კი მაინც ვერ ვაჩერებ სახლში,ყოველდღე მაინც გადის)

საბერძნეთში 27 აპრილამდეა გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სპეციალური საშვის გარეშე გარეთ გასვლა და გადაადგილება გეკრძალება. ფურცელზე მითითებული უნდა იყოს გვარი,სახელი. მისამართი,სახლიდან გასვლის დრო და სად მიდიხარ.და პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ქაღალდი თუ არ გაქვს ,მესიჯს აგზავნი გარკვეულ ნომერზე ,წერ სად მიდიხარ.მერე გიგზავნიან თანხმობას და მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგ გეძლევა უფლება, გახვიდე გარეთ.

-ხომ არ გექმნებათ პრობლემა სამედიცინო მომსახურების კუთხით იმ ადამიანებს, ვინც საბერძნეთის მოქალაქე არ არის?

-სამედიცინო გადაუდებელი დახმარება ყველაზე ერთნაირად ვრცელდება. ამიტომ ამ თვალსაზრისით პრობლემა არ არსებობს. ისე კი, კორონავირუსის პირობებში, ყველას ეშინია.

მთლად უსაფრთხო გარემო არსად არაა. ყველა ცდილობს, დარჩნეს სახლში.მარკეტებში ,ბანკებში დაცულია 2 მეტრიანი დისტანცია. ყველანი ველოდებით სიტუაციის გამოსწორებას და პანდემიის დამარცხებას, მაგრამ აქედანვე ვეჩვევით იმ ამბავს, რომ ზაფხული იქნება რთულად გადასატანი როგორც ეკონომიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ძალიან გვიხარია და გვეამაყება, როცა აქაური არხები აშუქებენ საქართველოს ამბებს და ლაპარაკობენ იმ წარმატების შესახებ, რასაც მიაღწიეს ჩვენმა ექიმებმა , მთავრობამ და ეკლესიამ, რომ საქართველო არის სამაგალითო და მისაბაძი ყველასთვის.გულს უხარია და ამაყი ვარ, ძლივს რაღაცაში პირველები რომ ვართ. ჩემმა ბერძენმა მეზობელმა გამომიგზავნა სურათი და აღფრთოვანებული მწერდა- „ ბრავო გეორგიასო".

თაია წიკლაური:

არ ვიცი რამდენად მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ საბერძნეთი ახალ ვირუსს ნამდვილად არ შეხვდა მომზადებული: საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლა ჩვეულებრივი რეჟიმით იყო, ხალხით სავსე კვების ობიექტები- ტავერნები.. მათ შორის მეც ვარ..რატომღაც გვეგონა, რომ არ ვიდექით დიდი პანდემიის საშიშროების წინაშე(არადა, რატომ აგვივლიდა გვერდს..) .როცა მიცვალებულების რაოდენობამ მოიმატა, მოიმატა პანიკამაც და ახლა ქვეყანაში კარანტინია.

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემამ გადაწყვიტა, რომ სანამ კორონავირუსის სერიოზული სიმპტომები არ გექნება, არ მიყევხარ სავადმყოფოში. მაგრამ თუ აღმოგაჩნდა ვირუსი, შემდეგ მკურნალობა უფასოა ყველასთვის, უსაბუთოა თუ საბუთიანი. ვფიქრობ, რომ კორონავირუსისგან დაცული ნამდვილად ვარ-ვარ გამოკეტილი ამ სასახლეში, სადაც ვმუშაობ, გარეთ საერთოდ არ გავდივარ, მაღაზიაშიც კი. ასე რომ, გარემო მხოლოდ სამსახურია და შესაბამისად, პირადად მე, დაცული ვარ. რასაც ვერ ვიტყვი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. გარემო აქაც დაძაბულია.

შესაბამისად, ვართ დათრგუნულები ამ საინფორმაციო პროგრამებით, სადაც მხოლოდ ამაზეა საუბარი და თან რაიმე საიმედო პროგნოზიც არ მომისმენია. უიმედობას უფრო ვხედავ და მესმის. ვერ



მოგატყუებ და მე თვითონაც დათრგუნული და დაბნეული ვარ, არ ვიცი, როდის რა იქნება.

აქედან როგორ ჩანს საქართველო? ამ საყოველთაო უიმედობისა და დაძაბულობის ჟამს, ჩემმა საქართველომ ძალიან გამახარა იმ ინფორმაციით, რაც გამაჩნია: მობილიზებით, ექიმების თავდადებით, რწმენის სიძლიერით...

როგორი იქნება უახლოესი მომავალი? არცთუ ისე საიმედო: ეკონომიური შეფერხება თავისთავად იქნება- რამდენი დაწესებულება, ობიექტი საწარმო არის შეჩერებული. თუ ვიმსჯელებთ ჩემი ოჯახის მიხედვით, სადაც ვმუშაობ, ნამდვილადაა პანიკა, სწორედ ამ მდგომარეობის გამოც...

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

მწერლობა და კორონავირუსი

• **რამდენად რთულია მწერლისთვის, იყოს იზოლაციაში და, გარკვეულწილად, მოწყდეს სამყაროს?**

ირმა შიოლაშვილი: ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს, როცა ევროპულ მედიაში უჰანში ამოხეთქილ ეპიდემიაზე გახსნილად საუბარი დაიწყეს, მე სამ-

სახურიდან ერთ-ერთი პროექტისთვის ერთი კვირით ფრანკფურტში წავედი . სასტუმრო, სადაც ვცხოვრობდი, სავსე იყო ჩინელებით, რომლებიც აცემინებდნენ,ახველებდნენ და მე გული მისკდებოდა, რომ მათთან ერთად უნდა მესაუზმა. სასტუმროში სტუმრის მიღება ბიზნესის მთავარი ბერკეტია და აზრად არავის მოსვლია, ჩინელი სტუმრებისათვის კარი დაეხურათ. სასტუმროს თანამშრომლები იდგნენ და იღიმებოდნენ.

თებერვლის თვეში, რაინის მხარეში, იქ, სადაც მე ვცხოვრობ, ყოველწლიურად დიდი კარნავალი იმართება. გერმანიის ხელისუფლებამ სწორედ აქ დაუშვა შეცდომა, რომ საკარნავალო ზეიმი არ აკრძალა. თებერვლის ბოლოს ჩემს ქალაქში (ბონში) სწორედ იმ ადამიანებს აღმოაჩნდათ კორონა ვირუსი, რომელთაც კარნავალში მიიღეს მონაწილეობა. ერთ-ერთი დაინფიცირებული სკოლის მასწავლებელი იყო. მხოლოდ ის სკოლა დაკეტეს, სადაც ინფიცირებული ქალი მუშაობდა, ჩვეულებრივ გრძელდებოდა ცხოვრება ჩემს ქალაქშიც და სრულიად გერმანიაშიც. მარტის დასაწყისშივე ავფორიაქდი, დავიწყე პირბადეების და დეზინფექციის საშუალებების ძებნა, აფთიაქებში და სავაჭრო ქსელებში ორივე ერთბაშად გამქრალიყო და მათ შემოტანას ქვეყანაში არავინ ჩქარობდა. აქ არც მაშინ და არც დღეს არავის მოსვლია აზრად, ტრანსპორტის დეზინფექცია, ან რისკის ქვეყნებიდან შემოსული მოსახლეობის გაკონტროლება. ყველაზე მეტად თავიდანვე გერმანელი ხალხის სიმშვიდე და დაუდევრობა მაოცებდა: ჩვეულებრივი გრიპია, მხოლოდ მოხუცებს ავნებს-იმეორებდნენ მშვიდად. მარტის შუა რიცხვებში ინფიცირებულთა რიცხვმა ათასებს მიაღწია და სკოლები და სასწავლო დაწესებულებები, როგორც იქნა, დაკეტეს. მე მთელი ორი კვირის მანძილზე ვავლებდი პარალელებს საქართველოსთან და მუდმივად ვბრაზობდი გერმანიის მთავრობის გულგრილ დამოკიდებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვირუსოლოგები და იმუნოლოგები საჯარო განცხადებებს აკეთებდნენ შეზღუდვების აუცილებლობაზე, უკვე საქვეყნოდ ცნობილია, რომ ევროპამ რეაქცია დააგვიანა. მაგრამ რაც ყველაზე მეტად მაოცებდა და მაოცებს, სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე გერმანელ მოქალაქეს აუგს ვერ დააცდენინებ. რასაც ეტყვიან, აკეთებს , დიდძალ გადასახადებსაც პროტესტის გარეშე იხდის, დაზღვევასაც და, თუ გერმანულ სამედიცინო სისტემაში დაუთვლელი ლაფსუსია, ამასაც ეგუება. მაგალითად, გერმანიაში სიცხიანს სასწრაფო არ მოგაკითხავს. ტაქსი უნდა აიყვანო და ისე წახვიდე საავადმყოფოში. როგორ მიაღწევ დანიშნულების ადგილამდე, ეს შენი პრობლემაა. თუ ტყუილში გამოგიჭერენ, დიდძალი ჯარიმა არ აგცდება. კორონა ვირუსით დავადებული ავადმყოფების დიდ ნაწილს გერმანიაში სახლში სტოვებენ და პარაცეტამოლის დალევას ურჩევენ. მხოლოდ ფილტვებდაზიანებულები გადაჰყავთ საავადმყოფოში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მოსახლეობა სისხლის ფასს იხდის დაზღვევაში. დაზღვევა სავალდებულოა. მე რამდენჯერაც საჯაროდ გამოვხატე კრიტიკა, იმდენჯერ მიწყინეს გერმანელებმა. სახელმწიფოზე აქ აუგს ძვირად ათქმევინებ ხალხს. ამის ფონზე საქართველოში სახელმწიფომ მედიკოსებს და ვირუსოლოგებს მოუსმინა, მაგრამ ხალხის ერთი ნაწილი აღმოჩნდა მუდმივად უკმაყოფილო, უმადური და დაუმორჩილებელი. ეს მე გერმანიის გადმოსახედიდან ძალიან მიკვირს.

• **ყველაზე მეტად რას ვერ ეგუებით და რა აღმოჩნდა თქვენთვის სასიკეთო?**

მეც, ისევე როგორც ბევრმა მოქალაქემ, ბოლო ოთხი კვირა კარანტინში გავატარე. შინაგანად მუდმივად აფორიაქებული ვარ, მაგრამ წერისთვის მოვიცალე.

კიდევ ერთხელ დავინახე, რომ ხელოვნება შეიძლება იყოს საუკეთესო თერაპია, საშუალება, სულის სიღრმეებში ჩახვიდე, იმოგზაურო, ძველი ამბები გადააფასო, ახლებურად დაწერო და, საუკეთესო შემთხვევაში, ახალ წიგნადაც შეკრა.

ნინო ხარატიშვილი

ზოგადად ჩემთვის ეს არ იქნებოდა განსაკუთრებული მდგომარეობა, რომ არა ამ ყველაფრის ასეთი საგანგაშო მიზეზი. სამყაროსგან გამოთიშვა, სახლში ყოფნა, განმარტოვება წერის და მუშაობის გარდაუვალი და საჭირო ნაწილია, თან თუ ამას საკუთარი სურვილითა და ნებით აკეთებ და ეს სიამოვნებასაც გგვრის. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მიზეზი სულ სხვაა, ახლანდელი ვითარება სხვაგვარია, თან ჩემთვის ამ ეტაპზე სახლში მუშაობა წარმოუდგენელია. ორი პატარა ბავშვი მყავს, რომელიც მთელი დღე, როგორც ყველა მცირეწლოვანის მშობელმა პლანეტის თითქმის ყველა ნაწილში, უნდა გავართო და დავაკავო. ასე რომ, მეც იმავე გამოწვევების წინაშე ვდგავარ, როგორც ყველა დანარჩენი.

• **ყველაზე მეტად რას ვერ ეგუებით და რა აღმოჩნდა თქვენთვის სასიკეთო?**

რა თქმა უნდა, როგორც ყველა ჩვენთაგანს, მეც მთრგუნავს ამდენი დაავადებული, მსხვერპლი, ჩაკეტილი საზღვრები, გაურკვევლობა და იმის არცოდნა, როდემდე გასტანს ეს საგანგაშო მდგომარეობა, თუმცა, როგორც 90-იანი წლების საქართველოში გაზრდილი ადამიანისთვის, არც ისე მიჭირს ამ მოცემულობებთან შეგუება. მშვიდობასა და კეთილდღეობაში გაზრდილი ევროპელებისთვის ეს ყველაფერი უფრო რთული ასატანია. ბევრი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ პანდემიამ სამყარო გააჩერა და ადამიანებს საკუთარ ცხოვრებაზე სხვა კუთხით შეახედა. არ ვიცი, არა მგონია, ყველაფერი ეს რომ დასრულდება, მსოფლიო შეიცვალოს. ადამიანის ბუნება სწრაფად ეგუება ნებისმიერ მდგომარეობას და სწრაფადვე დაუბრუნდება ძველ მოცემულობებს. ძალიან კარგი იქნება, ამ ყველაფერმა რაღაც დადებითი კვალიც დატოვოს და ჩვენი დამანგრეველი და მომხმარებლური ცხოვრების წესი შეგვაცვლევინოს. ასე რომ, იმედი მაქვს, ვცდები...

გ ი ო რ გ ი   პ ო პ ი ა შ ვ ი ლ ი



ისევ მოვიდა აპრილი შენი თვე - 2 აპრილი შენი დაბადების ხოლო 10 აპრილი შენი ამქვეყნიდან გასვლის დღეები. შენ 79 წლის გახდებოდი. 74 წლის ასაკში, 5 წლის წინ, შენ დატოვე ეს სამყარო და მარადისობაში გადაინაცვლე. წელიწად-ნახევარი იტანჯებოდი, უგონოდ მყოფი, ლოგინს მიჯაჭვული იწექი და ვიდრე ბოლომდე არ ამოიწურა შენი ფიზიკური შესაძლებლობები, ჩვენ- მე, შენ და ჩვენი შვილები ვებრძოდით სიკვდილს, მაგრამ დავმაცხდით; ისე წახვედი, ცნობიერება არ დაგბრუნებია, არ გაგიგია, რა ხდებოდა შენს ირგვლივ. ხუთი წელი გავიდა, ცხოვრებამ ახალი კალაპოტით უშენოდ, იწყო დინება, თუმცა, შენი ხსოვნა სულ მუდამ იყო და არის ჩვენს მეხსიერებაში. ისე არ ჩამოვლენ და წავლენ შენი შვილები, საფლავზე რომ არ მოვიდნენ, არ მოგესალმონ, ან გამოგემშვიდობონ, სანთელი არ დაგინთონ და მადლობა არ გითხრან იმ ამაგისათვის, რაც შენ თავდაუზოგავი, პატიოსანი შრომით მათთვის გაიღე. ძალიან ენატრები და შენთან ერთად გატარებულ ეპიზოდებს ხშირად იხსენებს შენი გ ა ზ რ დ ი ლ ი ნია, რომელიც უკვე სტუდენტია, შენი მოსახელე პატარა გიორგი კი, რომლის გაცნობაც შენ არ გეღირსა, სურათს რომ დახედავს, ამბობს: „ეს ის პაპაა, რომელიც უკვე მოკვდა და მე ვერ გავიცანიო“. ბევრი დააკლდა გიორგის, შენნაირი თბილი და მზრუნველი პაპის ალერსი რომ ვერ შეიგრძნო. ყველაზე მეტად კი მე დამაკლდი, დავრჩი სიმარტოვეში, ახლა ამ სახლში კაციც მე ვარ და ქალიც. მართალია, დღევანდელი ტექნოლოგიური საშუალებები იძლევა შესაძლებლობას, ხშირად დავეკონტაქტო ჩემს შვილებს, რომლებიც ყურადღებას არ მაკლებენ, მაგრამ უშენობა მაინც ძნელია.

ვფიქრობდით, ხუთი წლისთავზე ყველა ერთად მოვიდოდით შენს საფლავზე, გაგიხსენებდით და პატივს მივაგებდით შენს ხსოვნას, მაგრამ გასაჭირში მყოფი სრულიად დედამიწის და მათ შორის საქართველოს მდგომარეობა, გართულებული კორონა ვირუსის ეპიდემიის გამო, ამის საშუალებას არ იძლევა. დაბადების დღეს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ. ღმერთს შვთხოვთ, დაამშვიდოს და დააწყნაროს დედამიწა, რათა სიცოცხლემ გაიმარჯვოს სიკვდილზე. ნათელში იყავ, ჩემო გიორგი!

შენი მეუღლე
ნაირა გორაშვილი

ზ ა ზ ა   პ ო პ ი ა შ ვ ი ლ ი

მეთოთხმეტედ....ფიქრიც კი მზარავს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ასე უნდა ვითვალო, რამდენი გაზაფხული მოვა უშენოდ, ჩემო ზაზა.

იმ წელს აღდგომა 24 აპრილს მოვიდა. ქრისტე აღდგა , ზაზა! მეთოთხმეტედ ვხვდებით აღდგომას უშენოდ, შვილო. 14 წლის წინ, აღდგომის ღამე ეკლესიაში გაათენე,რა იცოდი,რომ რამოდენიმე საათში, იქვე ახლოს,სიკვდილი ჩაგისაფრდებოდა და ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, შენს ლამაზ სულს მარადისობაში გადაიყვანდა. მხოლოდ 27 წელი იცოცხლე, მარად ახალგაზრდა დარჩი. ასეთი იყო უფლის ნება!

14 ტკივილიანი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩემო ზაზა. შენ ძალიან კარგი შვილი,მოსიყვარულე მეუღლე, ერთგული ძმა და მეგობარი იყავი, შვილო. იყავი კეთილი, ხალისიანი, სიყვარულითა და სიცოცხლით სავსე. რაც დრო გადის, მონატრება უფრო ძლიერდება და ტკივილი უფრო მატულობს. დარჩა მხოლოდ ფოტოზე შენი სიყვარულით სავსე თვალები და ლამაზი მზერა.

14 წელი დიდი დროა, შვილო. 41 წლის ვაჟკაცი ხარ, მოგიკვდეს დედა. სიზმარში მაინც მოდი დედასთან, სიზმარში მაინც შევიგრძნო შენი სუნთქვა, შენი სითბო, გავიგონო შენი ხმა.

„ დღეს ღამე მოჭყვება, ცრემლს ჩემი სევდა,
სიზმრად მოსული მოგეფერები,არ დაიდარდო დედა.“

უზომოდ მენატრები, შვილო, ყველაფერი სიზმარი მგონია.მინდა, ერთ დღესაც გავიღვიძო, დაგინახო, გულში ჩაგიკრა, მოგეფერო,დაგიკოცნო ლამაზი თვალები და გითხრა: „ძალიან მომენატრე, ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ და ალარასოდეს მიმატოვო მეთქი“.

შენი ფესვიდან ამოსული ერთი ტოტი, შენი საყვარელი ლიკა გვასულდგმულებს, შენს მონატრებას მასში ვიკლავთ. შენი შვილი 18 წლის არის, ზაზა. ის უკვე სტუდენტია, შვილო. ცხოვრების გზა დაულოცე, მისთვის ილოცე მანდედან, შვილო.

უკვე 14 წელია, გაზეთის ამ მტკივნეული გვერდიდან გესაუბრები, შვილო. ვტირი და გეფერები მარადისობაში გადასულს. მე მჯერა, რომ მიწიერი ცხოვრებით არ მთავრდება ყველაფერი. სიკვდილი ხომ მხოლოდ გადასვლაა სრულყოფილი, მარადიული ცხოვრებისაკენ. აი, ამაშია ჩემი და შენი მეუღლის- ნათიას ნუგეში, შვილო.

ჩემო ზაზა, ჩემო უდროოდ წასულო შვილო, ყველას ძალიან ენატრები, ჩემო სიცოცხლევ, ენატრები მშობლებს, ერთადერთ ძმას, რომლის თვალზეც დღემდე ცრემლის კვალია, ენატრები ნათიას და შენს საფიცარ ლიკას. ენატრები ბებიას, ბიძებს, ბიძაშვილებს, მეზობლებს და მეგობრებს. შენს გარდაცვალებას ხომ ბუნებაც დასტიროდა, მთელი თვე გადაუღებლად წვიმდა...

„ძალიან მიყვარს წვიმის წვეთები
წვიმის წვეთები ნაზი და წმინდა,
ალბათ იმიტომ, რომ დავიბადე,
თურმე ძალიან წვიმდა.
მე რომ მოვკვდები, ალბათ მაშინაც
მიტირებს მხოლოდ წვიმა.“

ჩემო ზაზა, აღდგომის დღეს მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ წითელ კვერცხს, გაგიჭრით პასკას,დაგინთებთ წმინდა სანთელს, მოვეფერებით შენს სურათს, ღმერთს შევთხოვ, რომ ისმინოს დედის ვედრება და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი ოჯახი

ი ლ ი კ ო   შ ა რ ვ ა ძ ე

ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო ერთადერთო შვილო, ილიკო, გილოცავ გაზაფხულის დადგომას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ყოველთვის მგონია, რომ გაზაფხულთან ერთად მოხვალ, შვილო, ეს მხოლოდ დედის უიმედო ოცნებად რჩება.

უკვე მერვე წელია, რაც ამ ლამაზ ცხოვრებას მოსწყდი და შენ აღარ შეგიძლია განიცადო ამ დღესასწაულის დადგომით, მიღწეული სიხარული, წელს პირველი შემთხვევაა, როცა ან დღეს საგანგებო ვითარების გამო. სწორედ ეს არის მიზეზი. რომ შენს დედას არ შეუძლიან მოვიდეს შენს საფლავზე. მაგრამ ხომ იცი, რომ დედა აქდანაც გაგიკეთებს ყველაფერს და არაფერს არ მოგაკლებს, შვილო.

ძალიან მიჭირს უშენობა, ჩემო ბიჭო, გული მონატრებით და ტკივილით მაქვს სავსე. შენ კი შენს საყვარელ მამასთან ხარ ზეიურ სასუფეველში და იქ ერთად შეხვდებით ამ დღესასწაულს. მადრი მართალია, შენც ძალიან ადრე წახვედი ამ ქვეყნიდან, მაგრამ მაინც ბედნიერი ხარ, რომ ვერ მოუსწარი შენი შვილის გარდაცვალებას და დღეს კი შენს საყვარელ შვილთან ერთად ხარ, ჩემგან განსხვავებით. მენატრებით ჩემო ნაადრევად წასულო ქმარ-შვილო. მე თქვენს გარეშე მიწასთან ვარ გასწორებული.

ერთადერთი შვილის დაკარგვა უდიდესი ტკივილია. შვებას მხოლოდ მაშინ გრძნობს გული, როდესაც შენს საფლავზე მოვდივარ შვილო, რადგან ფიზიკურადაც და სულიერადაც იქ მეგულები.

მაგრამ რა ვქნა, რომ ხშირად ვერ ვახერხებ შენთან მოსვლას, რადგან ტერიტორიულად შორს ხარ და ფიზიკურად ვერ ვახერხებ ამას. ჩემო ილიკო, მანდ რომ ვიყო, ალბათ, ყოველდღე ვივლიდი შენს საფლავზე. ამაში ეჭვი არ შეგეპარება, რადგან კარგად იცი შენი დედის არანორმალური ქცევები შენს მიმართ.

წუთისოფელიისედაც ერთი წუთია, ერთი გაელვება, სიცოცხლე ხანმოკლე მოლანდებაა. შენი სიცოცხლეც ასეთი აღმოჩნდა. გაქრა შენი ოცნებები და მომავლის იმედი. ვცხოვრობ იმით, რომ შენ სულ ჩემთან ხარ, არსად წასულხარ და შენებური სითბოთი და სიყვარულით დარჩი დედის გულში სამუდამოდ.

ტკივილი, რომელიც შენმა სიკვდილმა განმაცდევინა არ ყუჩდება, ჭრილობა შეიძლება შეხორცდეს, მაგრამ ნაიარევი არასოდეს არ ქრება. ნისლში ჩაიძირა ჩემი სიცოცხლე უშენოდ. სულ ყურებში ჩამესმის შენი საუბარი, შენი ხმა. შენი მომართვა - „დე“- ჩემთვის მოსასმენად გახდა სანატრელი. მერვე წელია, შენს დედას ენატრება ამ სიტყვის გაგონება. ღმერთს ვთხოვ, არცერთ დედას არ განეცდევინოს ამ ძვირფასი სიტყვის მონატრება.

ყოველი აღდგომის დღეს ან სხვა დღეებში, როდესაც მე თბილისში არ ვიყავი, მირეკავდი და მეუბნებოდი - ‘დე’ არაფერზე არ ინერვიულო, მე უკვე მოვედი მამას საფლავზეო. დედას ყოველთვის და ყველაფერში ჰქონდა შენი იმედი, ჩემო ერთადერთო სანთელო, მაგრამ უკვე მერვე წელია, რაც მე გადმომაბარე ეს მოვალეობა და ორმაგი ტვირთით დამიმძიმე ჩემი ცხოვრება.

სიკვდილით არ მთავრდება ყველაფერი, ჩემო ილიკო, შენ სულ ცოცხლობ და იცოცხლებ დედის გულში, შენს საყვარელ შვილებში ნიასა და პატარა ილიკოში და მომავალში შენი შვილიშვილების ხსოვნაში.

მაპატიე შვილო, რომ ჯერ კიდევ ვარ ცოცხალი, ამიტომ შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ჩემმა ლოცვამ, დანთებულმა სანთლებმა, ვედრებამ, შვება მოჰფინოს შენს ლამაზ სულს და გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

უფალს მორიდებითა და პატივისცემით შევთხოვ შენს მფარველობას ჩემო ილიკო.

შენი მონატრებული დედა

რ ე ზ ო   ე ს ა ძ ე   გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა



86 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი რეჟისორი, მსახიობი, სცენარისტი და მხატვარი - რეზო ესაძე. დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა მთელს ერს (კინორეჟისორი, კინომსახიობი, კინოდრამატურგი, მხატვარი, პოეტი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე, სახალხო არტისტი, მხატვართა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო ფესტივალების პრიზების მფლობელი, კემბრიჯისა და ვაშინგტონის საერთაშორისო კატალოგების საპატიო ორდენის კავალერი, გადაღებულია 120 -ზე მეტ მხატვრულ ფილმში, თავად კი გადაიღო 11 მხატვრული ფილმი, მისი სამხატვრო ნამუშევრები დაცულია პირად და სამუზეუმო კოლექციებში. რეზო ესაძე ბოლო ათწლეულების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 2016 წელს გადაიღო თავისი ბოლო ფილმი “თვე, როგორც ერთი დღე”, 2019 წელს კი კინოთეატრ “რუსთაველის” წინ გაიხსნა რეზო ესაძის სახელობის “ვარსკვლავი”. ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, მხატვარი და პოეტი რეზო ესაძე უკანასკნელ გზაზე თბილისმა საკადრისად ვერ გააცილა.რეზო ესაძე 2020 წლის 18 აპრილს, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. რეზო ესაძის პერსონალურ გამოფენებს სხვადასხვა დროს მასპინძლობდა თბილისი, მიუნხენი, ჟენევა, თელ-ავივი. მისი ნამუშევრები ინახება პირად და სამუზეუმო კოლექციებში. 1975 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2001 წელს გამოაქვეყნა ლექსების პირველი კრებული.

და თამარ ქადაგიშვილი, შვილები: ვასიკო, მაია, თამაზ თეთვაძეები იუწყებიან
ვაჟა (შოთა)ქადაგიშვილის
გარდაცვალებას.
დაიკრძალა 26 აპრილს, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დალი ხუციშვილს დედის
ელდინო პოპიაშვილის
გარდაცვალების გამო.

კორონას ეფექტი და სიყვარული ჟამიანობის დროს

„დაე, სიყვარულმა იქ და იმ დროს მოგისწროთ, როცა ყველაზე ნაკლებად ელით მას.“

ელიფ შაფაქი

წინათქმისთვის: ***„ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დარღვევისთვის თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში პოლიციამ 9 ადამიანი დააჯარიმა. გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი და მისი რვა მეგობარი სოფელში გოგონას ხელის სათხოვნელად მივიდნენ. ადგილობრივები ჰყვებიან, რომ სასიძომ გოგონას სახლთან გულის ფორმის კოცონი აანთო, თუმცა ხელის თხოვნა ვეღარ მოასწრო, ის და მისი მეგობრები პოლიციამ დააჯარიმა. ცნობისათვის, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის გამო დაწესებული ჯარიმა 3000 ლარს შეადგენს.“***

თქმა: ამბობენ, სიყვარული უცნაური რამაა. რას, როდის, როგორ და რანაირად გაგაკეთებინებს არავინ იცისო. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც სიტუაცია უცნაური, განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი, ანდაც სრულიად განსხვავებულია ჩვეული, რუტინული ცხოვრებისგან.

დღეს ჩვენ ზუსტად ასეთ - განსხვავებულ და არაჩვეულებრივ რეალობაში ვცხოვრობთ და არავინ იცის, ეს რეალობა ზუსტად რამდენ ხანში შეიცვლება. დღეს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, სამყაროს მუქ ფერებში ხედავს, მაგრამ იმავე სამყაროში არსებობენ ადამიანები, რომელთა სხეულებშიც უამრავი პეპელა დაფრინავს, სამყაროსაც ღია ფერები აქვს და ყველაფერი გაცილებით მარტივია. ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც ალბათ, ასე თუ ისე ამოხსნეს, სამყაროს ერთ-ერთი საიდუმლო, თუ როგორ გიყვარდება, ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც, ალბათ, გამოსცადეს რაღაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი, რაღაც რაც საკუთარი თავის შევსებისა და ბედნიერების მიზეზს გაპოვნინებს. ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც, ალბათ, გამოსცადეს, როგორია როდესაც სხვებისთვის იცვლები, ან არ იცვლები და ამის საჭიროებასაც ვერ ხედავ, რადგან როცა გიყვარს, ალბათ, ეს უპირობოდ ხდება. ალბათ, გიყვარდება და უყვარდებით, ისეთი, როგორიც ხართ. ყოველგვარი ჩარჩოების გარეშე. ჰოდა, ასეთი ადამიანები სიმბოლურად 15 აპრილს აღნიშნავენ, სიყვარულის დღეს, რომელიც ამ სიტუაციაში მხოლოდ დისტანციურია და სრულიად სხვა ეფექტი აქვს. შორით ტრფობაო, თითქოს, შოთა რუსთაველმა სწორედ ასეთი დღეებისთვის დაწერა. როდესაც ეს მხოლოდ ერთადერთი გზაა იმ ერთადერთის დაცვისთვის, რომელსაც გადაწყვიტეთ, რომ თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნათ: დრო სიყვარულისა! დარწმუნებული იყავით, რომ ეს ადამიანები ნიჭიერები არიან, რადგან გიყვარდეს ვინმე, გაგაჩნდეს სიყვარულის უნარი, ეს „ნიჭია, რომელიც ღმერთმა ადამიანს უბოძა და უბედურია ის, ვინც ამ ქვეყნიდან ამ ნიჭის გარეშე წავა“.

სიყვარული ჟამიანობის დროს სრულიად განსხვავებულია. და არ გეგონოთ, რომ ეს ან გაბრიელ გარსია მარკესის უკვდავი რომანის გაცოცხლებაა ანდაც რომელიმე ფილმის სიუჟეტის განახლება. მათგან განსხვავებით, ვიტყოდი, სიყვარული ჟამიანობის დროს შედარებით ძვირიცაა-მეთქი. 21,000 ლარის ვალს რომ აგაღებინებს იმდენად. მაგრამ, ალბათ, მეტყვით, სიყვარულს რას გაუგებო. სიყვარული ჟამიანობის დროს უცნაურიაცაა, ისეთი, თანაგრძნობის უნარს რომ უფრო მეტად გაგიმძაფრებს. ვიცით, რომ ვირტუალური ურთიერთობის გაჩენას დიდი კრიტიკა მოჰყვა, რადგან რეალური ურთიერთობების მნიშვნელობა იკარგებოდა და ალბათ, იკარგება კიდეც. მაგრამ, დღეს, სავარაუდოდ, ძნელად თუ გაგახსენდებათ ადამიანი, რომელიც ურთიერთობის ასეთ ფორმას უარყოფითად აფასებდეს. და თუ ასეთი ადამიანი გეგულებათ, მას ასევე დიდი ალბათობით, სოლიდური ჯარიმაც ურჩევნია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის დროებით ვირტუალურ სამყაროში გადასვლას. ყველაფერი მაინც ადამიანზეა დამოკიდებული.

კორონავირუსმა, სამწუხაროდ, პრობლემებიც გააჩინა სიყვარულის მარადიულობაში. მაგალითად, ჩინეთში განქორწინების რიცხვმა საყოველთაო კარანტინის პირობებში და მის შემდეგაც, უფრო მოიმატა, ვიდრე ეს მანამდე იყო. მას შემდეგ რაც თავისუფლების ცოტაოდენი სხივები შეიგრძნეს, ჩინელებმა, ერთ-ერთი პირველი რაც გააკეთეს, განსაქორწინებლად წასვლა აღმოჩნდა. ამიტომ, ჟამიანობამ, გააჩინა კითხვა, როგორ გავაგრძელოთ ურთიერთობები ჩაკეტილობისა და სოციალური დისტანცირების პირობებში? პასუხი ერთია: ვიფიქროთ და დავაფასოთ ერთად გატარებული დრო,რადგან ის ძვირფასია. ალბათ, თუ მოვუსმენთ ერთმანეთს, ვისწავლით ერთმანეთისგან იმას, რაც აქამდე არ ვიცოდით, ვიცინებთ ერთად (შეიძლება ათას სისულელეზეც) და გვეყვარება ადამიანი ერთ მთლიანობაში, შევძლებთ ამ ახალი სტრესის ჩვენს ძლიერ მხარედ გადაქცევას. სიყვარული ხომ იმაზე დიდია, ვიდრე ჩვენი მთლიანი ცხოვრება შეიძლება იყოს.

ბოლოთქმისთვის: საკაცობრიო კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუ რა არის და როგორ ვლინდება სიყვარული, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამაზე ერთი და სწორი პასუხი არ არსებობს. ხანდახან სიყვარული ის ერთადერთი ელვისებური ბზარია გულმკერდის არეში, რომლისთვისაც არასოდეს ხარ მზად და რომლის მორჩენასაც არასდროს ცდილობ. მსოფლიო პანდემიის პირობებში კი ეს ბზარი ალბათ უფრო დიდ ფართობზე ვრცელდება, რადგან სტრესული გარემო უფრო ძლიერად ზემოქმედებს ადამიანზე, გენატრებათ, ენატრებით, ერთად ყოფნისა და სითბოს გაზიარების საშუალება არ გაქვთ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს რამეს უნდა ცვლიდეს? როგორ ფიქრობთ, ის უნდა ცვლიდეს იმ სიტყვებს, რომლებიც მარკ ტვენმა თქვა: „სიყვარული სურვილია, რომ ძლიერად სურდე ვინმესო“? ანდაც იმას ხომ არ ცვლის, რაც ჰემინგუეიმ გვითხრა, რომ თურმე „სიყვარულია, როდესაც აღმოაჩენთ, რომ სხვის გედნიერებაში უფრო მეტი გედნიერებაა, ვიდრე საკუთარშიო“? დოსტოევსკიმ დიდი ასოებით რომ დაწერა, „ჯოჯოხეთი ესაა ტანჯვა, იმის გამო, რომ სიყვარული არ შეგიძლიაო“, ამას პანდემია ხომ არ ცვლის? ჩვენმა ძვირფასმა, გურამ დოჩანაშვილმა კი როდესაც გვითხრა, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებსო“, ამ პირობებშიც ხომ არ დაუკარგავს თავისი ჯადოსნური ძალა ამ სიტყვებს? ეს ის ძალაა, რომელიც ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება. სიყვარულიც, ალბათ, სწორედ ისეთად მოძრავი დედამიწაა, სადაც ადამიანებს ერთმანეთი ძლიერად სურთ, სადაც სხვის გედნიერებაში უფრო მეტ გედნიერებას პოულობენ და არ ხვდებიან იქ, სადაც უსიყვარულობა ჯოჯოხეთად განიხილება. სიყვარული ამარცხებს ყველა გამოწვევას! სიყვარული ამარცხებს შიშს! „მოიმარაგეთ“ სიყვარული და დარჩით სახლში! ეს დღეს ჩვენი სიყვარულის ყველაზე გულწრფელი და მართალი გამოვლინებაა, რასაც არ უნდა ვფიქროდეთ, როგორც არ უნდა ვიქცეოდეთ და განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 27.04		სამშაბათი 28.04		ოთხშაბათი 29.04		ხუთშაბათი 30. 04		პარასკევი 1.05		შაბათი 02.05		კვირა 03.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
14°	8°	12°	6 °	12°	6 °	11 °	7°	15 °	7 °	20 °	12 °	19 °	11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.